

დამოუკიდებელი საქართველო

La Georgie
Indépendante
Revue mensuelle
A O U T
1928—№ 32

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაუნი—ქართველი ერი.
ვიღრვი გვაწავა—1924 წლის აჯანყება.
გუშაგი—ომი კანონ გარეშე.
K. A. Hindrey—ესტონეთის ჯარი.

პ. გვარჯალაძე—ირლანდ. ბრძოლა თავის უფლებ.
უცხოეთის მიმოხილვა.
რას სწერენ ბოლშევიკებზე.
რ. ინგილდ—იტალიური ფურცლები. და სს.

ქ ა რ თ ვ ე ლ ი ე რ ი .

სექტემბრის დასაწყისს 1924 წ. ენევაში, როცა 50 სახელმწიფოს წარმომადგენელი ერთა ლიგის სახეიმა სხდომას ხსნიდენ, ქართველ ერის აჯანყების ხმა გაისმა, რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ. შთაბეჭდილება, რომელიც ამ ხმამ მოახდინა, გამოკვეთილია დიდ ორატორ პოლ ბონკურის სიტყვაში და შევიდა ლიგის მატრიანეში, როგორც წაუშლელი სამუდამოთ.

აჯანყების ხმას თან მოჰყვა დამარცხების ხმაც. და მისი აუცილებელი თანამგზავრი: შურისძიება, გაბორბლებული, მხდალი, ველური შურისძიება. დეპეშათა სააგენტოები, გაზეთები დღიდან დღე ამცნევდენ ქვეყნიერებას ბრძოლის თვითეულ ეტაპს, აჯანყებულთა გმირობას, მათ გამარჯვებას ადგილადგილ. შემდეგ დამარცხებას, უიარაღო ხალხის აწიოკებას, დაბა-სოფლების მოსრას ცეცხლითა და მახვილით, ტყვეთა სვრეტას, დაუსრულებელ სვრეტას.

ამ ამბების ცოტა ადრე, ჩვენმა დელეგაციამ გადასცა ერთა ლიგას საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მემორანდუმი, სადაც, მოთხოვნილი იყო ქართველ ერის მწარე ხვედრი, მისი საშინელი ჩავგრა-წამება ჩრდილოეთის ბარბაროსების მიერ. იქვე იყო ხაზ-გასმით ნათქვამი, რომ, თუ ასე გაგრძელდა, მოთმინების ფიალა აივსება და ხალხი აღსდგება მტარავალთა წინააღმდეგო. ეს იყო დაწერილი მისს, ხოლო აგვისტოს საქმედ იქცა!

ლიგის მომხსენებელი, კანადის ყოფილი სამხედრო მინისტრი და დელეგატი მაკდონალდი, რომელსაც ბევრით შეესწავლა სათანადო მასალები, არაჩვეულებრივი ენერგიით და სიმკაცრით ახასიათებდა, საზოგადო კრების წინაშე, მოსკოვის ვერავლბას საქართველოს მიმართ. მან წაიკითხა აგრეთვე სისხლით დაწერილი სტრიქონები დამკომის მემორანდუმიდან და თავისი განაჩენი გამოიტანა, რასაც ტაშით შეხვდა დამსწრე რჩეული საზოგადოება. მო-

მხსენებლის შემდეგ ძლიერი სიტყვები წარმოსთქვეს ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ბელგიის დელეგატებმა და მათ მიერ შემუშავებული რეზოლუცია კრებამ ერთხმით მიიღო.

ეს იყო ისტორიული დღე, ღირსეული აპოთეოზი ქართველი ერის აჯანყებისა. და აქ შენიშნავდით იმ დიდ განსხვავებას, რომელიც არსებობდა წარსულთან შედარებით. შორს რომ არ წავიდეთ, საქმარისია გავიხსენოთ 26 მაისი 1918 წ., დღე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, რომელიც შეუმჩნეველი დარჩა უცხოეთისთვის. ქართველ ერის აჯანყებამ კი მთელი განათლებული კაცობრიობა ალაპარაკა და დელეგაციის ხუთივე წევრის ოფიციალური წარმომადგენელი გულდასმით მსჯელობდენ საქართველოს ბედზე!

მართალია, ამას წინ უძღოდა ქართველი ერის არა ნაკლებ გმირული საქმე საკუთარ სახელმწიფოს შექმნისა, რაიცა ფაქტიურად და იურიდიულათ იცნეს სხვა სახელმწიფოებმა. მაგრამ, როგორც ეს ცნობა ისე ერთა ლიგის გამოხმაურება 1924 წ., ერთსა და იმავეს დადაბებს: საქართველო, ქართველი ერი ამიერიდან საერთაშორისო სინიღისის საქმედ იქცა. უდაოა, საქართველოს, ქართველ ერს წაართვეს თავისუფლება, ფეხ-ქვეშ გასთელეს მისი უფლება, — მაგრამ ამით ვერ ამოშლიან მის სახელს კულტურულ ერთა სიიდან.

თუ მოსკოვის ძალმომრეობამ წაართვა დამოუკიდებლობა ერებს და მათ შორის საქართველოსაც; თუ ეს სამარცხვინო აქტი თითქოს აუცილებელ და ბუნებრივ ბორბლებად ეჩვენებოდათ უცხოელთ, — აგვისტოს აჯანყებამ თვალი აუხილა მათ და დაანახვა, რომ საქმე ამით არ თავდება. ერი, რომელიც თავის უფლების სუბიექტად იქცა, ვერ შეურიგდება სხვის უფლების ობიექტად ქცევას.

ის კი არ არის გასაკვირი, რომ დიდი რუსეთი

მოერია პატარა საქართველოს: აჯანყება იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირში მოძრაობის ჩამიჩუმიც არ იყო, როცა რამდენსამე თვის წინ ინგლისმა იცნო მოსკოვის მთავრობა და საფრანგეთიც ამავე ცნობისთვის ემზადებოდა,—განწირული იყო წინააღმდეგობის ემზადებოდა, —განწირული იყო წინააღმდეგობის ემზადებოდა, —განწირული იყო წინააღმდეგობის ემზადებოდა.

წარსული მომავლის გაკვეთილია. აჯანყება მხოლოდ ბრძოლის ერთი ფორმაა, თან უკიდურესი, შესაძლებელი ამისათვის მოხდენილ, განსაკუთრებულ პირობებში. არის ბრძოლის სხვა ფორმებიც, შეიძლება, არა ისეთი ელვარე გარეგნულად, მაგრამ არა ნაკლებ მკვეთრი და სასიკვდილო მტრისათვის. მოსკოვის დიქტატორთა კაპიტულიაცია, ამას წინათ. გლეხობის პასიურ წინააღმდეგობის წინაშე, ამას ნათლად გვიმტკიცებს.

ერთ წუთსაც არ უნდა გამოგვეპაროს მხედველობიდან, რომ რეჟიმი თავის არსებობის უკანასკნელ სტადიაშია. მისი ხსნა არ შეუძლია არავითარ ძალას. შეიძლება მხოლოდ გაჰიანურდეს მისი სულთა-ბრძოლა, თუ მივეციტ ამის საბაბი. გაიხსენეთ შახტინის პროცესი, რომელიც ხელოვნურად შექმნეს ხალხის თვალის ქვეყნის ნამდვილ პრილობები-საგან ასარიდებლათ. რამდენათ უფრო ხელსაყრელი, პირდაპირ მისწრება იქნებოდა მომავლად რეჟიმი-სათვის, ვთქვამთ, ამა თუ იმ არარუს ერის განცალკევებული გამოსვლა!

დიახ, სდგება მომენტი, როცა რეჟიმი თვითონ ეძებს ერთ მაგარ შენჯღრევას ქვევიდან, რომ ამან გამოაწვიოს სასიცოცხლო რეაქცია მის დასწეულ-ბულ სხეულში. ბრძოლის ყიყინა, იარალის ხმაური, სისხლის ტბა—ი რას შეუძლია კიდევ მის ვახრწინლ რიგების ცოტა ხნით მაინც შემაგრება.

ქართველი ერთი თვალახილულია. ის ხედავს, წინასწარ გრძნობს მახლობელ ქარიშხალს. როცა მას ისევ მოუხდება გადაშვება ხელჩართულ ბრძოლაში საკუთარ ბედის გამოსაწყდათ.

მაგრამ ის მით უფრო უტყუვრათ და სავსებით შეასრულებს თავის ისტორიულ დანიშნულებას, რაც უფრო მკიდრით შეკავშირებული, შედუღებული იქნება. ჩვენ არ ვივიწყებთ, რომ არიან კლასები, პოლიტიკური პარტიები, მსოფლმხედველობანი, რომელნიც იბრძვიან ქართველ ერში, ისე როგორც ყოველ თანამედროვე ერში, მაგრამ, როცა კითხვა ეხება თვით ერის ყოფნა-არყოფნას, მის ღირსებას, პატივმოყვარობას.—ყველა ეს განსხვავებანი და წინააღმდეგობანი უნდა დადუმდენ დგზა უტიონ ერთად ერთ ბუნებრივ კანონს თვითთარ სე ბობისა, თვით შენახვისა.

ერთი, როგორც კოლექტივი, არ არსებობს ჩვენს გარეშე; ის სცოცხლობს და სუნთქავს იმდენათ, რამდენათ თვითეული ჩვენგანი გამხდარა მისი სულის ჭურჭელი, გრძნობს მის მაჯის ცემას, განიცდის მის თავგადასავალს, ატარებს მის საიდუმლო ზრახვებს. მხოლოდ ასეთ ერს, მხოლოდ ასეთი ერის შვილებს

შეუძლიათ თავდაცვა, ღირსეული სიცოცხლე, სახელოვანი სიკვდილი.

ქართველი ერთი, მისი შვილები სწორეთ ასეთ სიცოცხლის, ასეთ სიკვდილის მოწყურებულნი არიან, ამისთვის ემზადებიან. მე-19 საუკუნის ბოლო და მე-20 საუკუნის დასაწყისი ჩვენმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ განვლო სოციალურ ბრძოლის ნიშნის ქვეშ. ასე გვეგონებოდათ, ერთი ღირსეული, დიშალა და თვითეულ ანტაგონისტურ ნაწილს ასულდგმულებდა მხოლოდ სოციალური იდეალი, რომელიც თითქოს უარყოფდა ან კიდევ ფარავდა ეროვნულ იდეალს. მაგრამ დადგა 1917 და 1918 წლები და ქართველი ერთი ვითა ფენიქსი, იშვა ფერფლიდან, უფრო გაერთიანებული ფიზიკურათ და ფსიქოლოგიურათ, ვინემ ოდენსმე! აღმოჩნდა, რომ ახალ ცხოვრებას, მთელ მის სოციალურ წინააღმდეგობათა და იდეოლოგიურ ბრძოლის მიუხედავათ, ან უფრო სწორათ—მათი წყალობით, წარმოუშვამს თანამედროვე ქართველი ერთი!

და ამ ერმა თვალის დახამხამებაზე ალღო აუღო შექმნილ მდგომარეობას, გაიკვლია თავისი გზა. განათეულა საუკუნით გაწყვეტილი ძაფი და შეუდგა ძველი საქართველოს, დამოუკიდებელ საქართველოს ახალ სახელმწიფოებრივ საფუძვლებზე აშენებას...

ქართველმა ერმა კიდევ ააშენა იგი, და ძველი ბატონი, რუსეთი, იძულებული გახდა ეცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი უზენაესობა. იძულებული, რადგან არ გასულა ცხრა თვეც, იგივე ბატონი შემოესია მას ავანკურათ და ისევ დაადგა თავისი უღელი. ეს უპირობა, ეს სიმუხტლე, რომელიც თავის ბადალს ეძებს საერთაშორისო დამოკიდებულებაში, ამიერიდან სამარცხენო ბოძზედ აკრავს მოსკოვის სიტყვასა და საქმეს.

ქართველი ერთი იბრძვის თავის დარღვეულ უფლებების აღსადგენათ, რომელიც იმავე დროს არის უფლება თვითეული მისი შვილის, თვითეული მისი კლასის, თვითეული მისი პარტიის—აქედან ერთი მთლიანი ფორმტი ყველა ამ ელემენტებისათვით ცხოვრების უღმობელ კანონის მიერ არის ნაკარნახევი.

ქართველ ერს და მის შვილებს ვერ შეაშფოთებს რუსების და ქართველთა მოდგმის რამდენიმე არაზნადის ლათაიები ძველ ჰანგებზე, ვითომ სოციალური სხვადასხვაობა უარყოფდეს მათ შეერთებას ეროვნულ განთავისუფლების მიზნით. ისინი არა თუ თვითონ შეერთდებიან, ეცდებიან შექმნან ყველა არარუს ჩაგრულ ერთა ბლოკი საერთო იერიშის მისატანათ მათ მტარვალებზე. ისინი არ შეუდრკებიან იმასაც, რომ ემიონ მეგობრები საბჭოთა კავშირის გადაღმაც, რათა შეუქმნან განმათავისუფლებელ მოძრაობას ში ი თანამგრძობი ატმოსფერა გარეთ.

ავგისტოს ტრალედა ამოუფხვრელია ქართველ ერის მესხიერებიდან, ისე როგორც სხვა ბევრი ტრალედა, განვლილი და განცდილი მის მიერ თაობიდან თაობაზე საუკუნეთა გასწვრივ. ეს მესხიერება, ეს განცდა ჰქმნის თვით ერის ტრადიციას, შეუპოვარს, შეუქმურავს უფრო დიდ ქართველებსაგან მომავალში.



1924 წლის აგვისტო.

ერთი შესაზარი, მაგრამ სასახელო და მშვენიერი ფურცელი ჩვენი ისტორიისა არის 1924 წლის აჯანყება.

შესაზარია იმ ბარბაროსულ რეპრესიით და მდაბალ შურისძიებით, რომლითაც ისახელა თავი რუსეთის იმპერიამ; სასახელოა იმით, რომ ამ უზველებელ იმპერიას არ შეუშინდა პატარა საქართველო. აჯანყდა, შეეხეთქა... ამ შეხეთქებიდან აცვიანდა ნაპერწკლები გმირობის და თავგამოდებისა... მშვენიერებაც ამაშია. ეს გმირობა დარჩება სამუდამოთ იდუმალი წყარო ეროვნული ღირსების და სიამაყის; ეს ნაპერწკლები კი არ ჩამქრალან. ეს ნაპერწკლები ესლაც დაჰფრინავენ, როგორც ციციანთელა მისის, ბნელ ღამეში, და თავის ბრწყინვალე ზოლებით ამკობენ იმ ღამეს, რომელშიდაც ჩაფლულია ეხლანდელი საქართველო. დიად, საქართველოს აჯანყება იყო გმირობა, სავე ტრაგიკული განცდით და იდეურ შინაარსით,

საკვირველი იყო საქართველოს აღდგენა 1918 წელს. დაქუცმაცებულმა ფეოდალურ წესწყობილებით რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში, მან ანაზღაურა. თითქმის მოულოდნელად, იგრძნო თავისი ეროვნული და ტერიტორიალური მთლიანობა და აღსდგა უცებ, როგორც ერთი მთლიანი სახელმწიფო. ერთი ყოფილა ძირი, ერთი ყოფილა ფესვები, წასული იქით-აქით, კავკასიის ქედიდან ჯორჯიის ხეობამდე, და, როცა დაჰბერა თავისუფლების სიომ, წამოიყარნენ ერთად სხვა და სხვა შტოები ერთ და იმავე ძირისა—ქართველი ერის. აფხაზეთი, აჭარა, მეტეხი, საქართველოს ყოველი კუთხე, რა რომ დაწყდა მონაბობის ჯაჭვი, თავისუფლად, ბუნებრივად მიყვანენ იდუმალ ძაფებს, რომლითაც გადამბული ყოთილან საქართველოს სხეულთან. თითო-ოროლა პირის წალმა-უკულმა ხტუნაობას, რასაკვირველია, მნიშვნელობა არა აქვს. თავიდათავია ხალხის ბუნებრივი და თავისუფალი მოძრაობა. ეს მოძრაობა კი იყო აღდგენა საქართველოს ეროვნული მთლიანობისა.

ეს აშკარად გამოიხატა არჩევნების დროს. ხალხი იყო თავისუფალი. მას შეეკითხნენ მისი სურვილის შესახებ, მას შეეძლო თავისუფლად გამოეთქვა თავის ნებისყოფა და გამოსთქვა კიდევ. ბევრს უკვირს, რომ ერთმა პარტიამ მიიღო შეუდარებლად ბევრი ხმა, მეორემ ნაკლები, მესამემ—სულ ცოტა. აქ გასაკვირი არაფერია. ხალხისთვის არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა პარტიულ პროგრამას, არც კი შედიოდა მის განხილვაში. შეიძლება ვერც კი შესძლებდა მის დაფასებას. ის ირჩევდა საქართველოს წარმომადგენლებს, და სულ ერთი არ იყო, თუ ვის აირჩევდა, ივანეს თუ პეტრეს, ოღონდ კი ყოფილიყო ქართველი, საქართველოს წარმომადგენელი, დამცველი მისი სასიცოცხლო ინტერესებისა. ეს მხარე კი, ეს სასიცოცხლო ინტერესი, მას ჰქონდა უდაოდ და

მიუმცდარებლად გაშუქებული; მან იცოდა, რომ საქართველო ამიერიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომ ამიერიდან ის თვითონ უნდა გაუძღვეს თავის ბედს და დაამყაროს თვითონ თავის კეთილდღეობის წესი და პირობანი. ამ ძირითად საკითხში ყოველი კუთხე საქართველოს იყო ერთსულოვანი: არსად არ გასულა არც ერთი მტერი თავისუფლების, არც ერთი მომხრე რუსეთის, არც ერთი ბოლშევიკი.

გაზაფხული აფეთქებს ბუნებას, თავისუფლება ჰქმნის თავის იდუმალ ატმოსფერას: შეიძლება ცხოვრების ქრიამულში ისმოდეს სხვადასხვა ჰანგები, შეიძლება ბევრი სიტყვა და მოქმედება არ ეთანხმებოდეს საერთოდ აღებულ ხაზს და იმედებს, მაგრამ ამაღლებულია საზოგადოდ სულიერი განწყობილება.

თვალი ბრწყინავს მხნობით, ტუჩებს ღიმილი არ ჰშორდება. გონებაში ასახულია მთელი საქართველო მისი წარსულით და ნანგრევებით. ამ ნანგრევებზე უკვე დაიძრნენ ლანდები წარსულ ბრძოლის და გმირობისა, ამტყვევდა ყოველი ქვა, ყოველი ნაშთი, სადაც ოდესმე დულდა სიცოცხლე, და მთელი წარსული გადაება აწყყოს და მომავალს. ადგა ერი. ის ჰგრძნობს საერთოდ გამოღვიძებას, ის ჰხედავს თავის ჯარს, რომელიც იცავს მის საზღვრებს, ჰხედავს თავის მართველობას, თავის კანონმდებლობას... მე არ მინდა ვთქვა, რომ ხალხმა იცოდა ყველაფერი, რაც ჰხდებოდა, რომ ის ჰკითხულობდა ყოველ დეკრეტს და კანონებს, რომელიც გამოდიოდა... არა, ხალხის ფსიქოლოგიას სულ არ უნდა კანონების ანალიზი. საქმე შეგნებაშია. ხალხს ჰქონდა შეგნება, რომ ამიერიდან ის არის ბატონ-პატრონი თავისი ბედის, თავისი ქვეყნის, თავის წარსულის და მომავლის. შეუძლია გამოცვალოს კანონები, მოაწყოს ცხოვრება, ააყვავოს მთა და ბარი და საქმედ აქციოს თავის ნატურა და ზრახვანი.

თავისუფლებამ შეჰქმნა ეს ატმოსფერა და ამ დამატორბელ ატმოსფერაში გაატარა ქართველ ერმა სამი წელიწადი.

დამხობა ამ იმედების იყო საშინელი ტრაგედია. რუსეთი თავს დაესხა საქართველოს. შეეტაკა ერთმანეთს ორი სხვადასხვა ქვეყანა, ორი სხვადასხვა ისტორია, სხვადასხვა კულტურა, სხვადასხვა ფსიქოლოგია. ერთი მოწყდა ევროპის განათლებას, უკან დაიხია, გადავარდა წარსულ საუკუნეთა სიბნელეში და მიექანებოდა ველურობისაკენ, სადაც არა აქვს ადგილი არც თავისუფლებას, არც სამართალს. მეორე მოწყდა რუსეთის სიცივეს და სიბნელეს, დაუბრუნდა ხმელთა-შუა-ზღვის მზეს, საბერძნეთის ხელოვნებას, რომის დისციპლინას, ევროპის კულტურას, სადაც მაღლა ჰდგას ადამიანი და თანდათან გზას იკავებს სოციალური სამართალი. შეეტაკა ერთმანეთს ეს ორი მიმართულება. ფიზიკურად, რა თქმა უნდა,

რუსეთს დარჩა გამარჯვება. მან განდევნა ეროვნული ჯარი, მოსპო ეროვნული კანონმდებლობა და ეგონა, ამით ბოლო მოუღო ისტორიით აღებულ გზას. როცა დაინახა, რომ ეს საქმეს არა ჰშველის, მაშინ ხელი მიჰყო მხდალს და ვერაგულ მკვლელობას. გამოასალმეს წუთი სოფელს არა ერთი და ორი თავგანწირული მამულიშვილი. ყოველ დამე ჩუმად, ფარულად, აკლდებოდა თითო-ორი გმირი მებრძოლ საქართველოს და... იზრდებოდა და ჰგუბდებოდა ხალხის გულში ეროვნული მრისხანება.

აი ამ მრისხანებამ იფეთქა ამ ოთხი წლის წინეთ, 29 აგვისტოს. იფეთქა ერთბაშად, ერთ და იმავე დროს, სხვა და სხვა კუთხეში—ქართლსა და კახეთში, იმერეთსა და გურიაში, სვანეთსა და სამეგრელოში. ერთბაშათ მოსწყდა მთელი ქვეყანა რუსეთს

და დაუპირდაპირა თავის ნება და იდეალები ჩრდილოეთით შემოსულ შავზნელ ძალებს. ეს იყო მართლა გმირული აქტი. რალაც საიდუმლო ძალა ცეცხლივით მოედო თითოეულს გულს, ამოდრავა ყველა და პატარ-პატარა ტალღა წამომსქდარი აქა-იქ სოფლებში და ქალაქებში შეეხეთქა ამ შავ-ზნელ ძალებს. ეროვნულ მრისხანებამ აათრთოლა გული და ხელეები, გააბრწყინა და დაატრიალა ხანჯალი...

აჯანყებამ შეიწირა ხუთი ათასი მამულიშვილი. ამ საშინელი სისხლის გაღებამ უფრო შეაჯავშირა საქართველოს ყოველი კუთხე, უფრო განამტკიცა მისი ეროვნული შეგნება და ცხადჰყო საერთაშორისოდ მისი გადაწყვეტილი ნებისყოფა. 29 აგვისტო სამუდამოდ უნდა დარჩეს ჩვენთვის უდიდეს სამგლოვიარო და სასამაყო დღედ.

გიორგი გვახავა.

ო მ ი კ ა ნ დ ნ გ ა რ ე მ ე .

ამ ფრაზით მიმართა, შარშან გაზაფხულს, ამერიკელებს ბრიანმა და თან განმარტებითი ნოტა გაუგზავნა მათ გარეშე საქმეთა მინისტრს კელოგს, რომელშიც ამბობდა, რომ საფრანგეთსა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, მათი ტრადიციულ მეგობრობის მიხედვით, ყოველი შეიარაღებული კონფლიქტი გამორიცხულია და ამიტომ ჩვენ ორმა ხელშეკრულება დავსდოთ. რამდენიმე თვე გაიარა, სანამ უპასუხებდა ამერიკა საფრანგეთს. და ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ამერიკას მეორე საქმე ჰქონდა დაწყებული—საზღვაო შეიარაღების შეზღუდვა, რომლის შესახებ მან კონფერენცია მოიწვია ენევეაში, ინგლისის და იაპონიის მონაწილეობით. საზღვაო კონფერანცია, როგორც ვიცით, ჩაიფუშა, ერთის მხრით, ინგლის-ამერიკის მეტოქეობის, მეორეს მხრით, საფრანგეთ-იტალიის განზე გადგომის გამო.


ეს დიპლომატიური დამარცხება იმდენათ საგრძნობი იყო ვაშინგტონის კაბინეტისთვის, რომ კუელიჯმა, როგორც ამბობენ, უმთავრესად ამით გულგატეხილმა არ მოისურვა პრეზიდენტობაზე განმეორებით თავის კანდიდატურის წამოყენება. ასე თუ ისე, საჭიროა გახდა ამ დამარცხების გამოკეთება და ამისთვის ბრიანის წინადადება მოხდენილ საბაბს იძლეოდა. შეუდგენ სახელმწიფო დეპარტამენტში კითხვის შესწავლას და როგორც იყო, კელოგმა პასუხი გასცა ბრიანს.

ამ პასუხში ის «აღფრთოვანებით» შეხვდა ბრიანის წინადადებას, მარტო სიტყვები «ომი კანონ გარეშე» რათა ღირსო! მაგრამ უკეთესია ამ ბედნიერების მონაწილედ ყველა დიდი სახელმწიფოებზე გავხადოთო. პასუხს თან დართული ჰქონდა ხელშეკრულების პროექტიც, თომლის ძალით ხელის მომწერნი გმობენ ომს, როგორც ნაციონალურ პოლიტიკის საშუალებას.

მითქმა-მოთქმა დიდი იყო ამის გამო ყველგან, განსაკუთრებით საფრანგეთში. როგორ—კითხულობდნენ—პატარა სახელმწიფოებმა რა დააშავეს? რა

ბედი ეწვევა ერთა ლიგას? ლოკარნოს ხელშეკრულებას, მისი მონაწილენი რა მდგომარეობაში ჩავარდებიან? თუ ყოველი ომი აკრძალულია. გამოდის, თავდაცვითი ომიც დაუშვებელია: მამ პოლონეთს ან ჩეხოსლოვაკიას რომ გერმანია თავს დაესხას, საფრანგეთს არ შეუძლია მათ გამოექომავოს; ან კიდევ თვით საფრანგეთი რომ ჩავარდეს ასეთ მდგომარეობაში, ინგლისი და იტალია შეასრულებენ თუ არა თავის მოვალეობას, გამოვლენ თუ არა მის მხარეზე? ერთი სიტყვით, იბადებოდა მთელი რიგი კითხვებისა, რომელიც ძალზე არყევდა ევროპის სახელმწიფოთა განწყობილებას, აისებულ ხელშეკრულებებს, ერთა ლიგის პრესტიჟს.

ყველაზე უფრო ბრიანს ესმოდენ თავზე, თითქოს მისი კოლეგებიც არ იყვნენ კმაყოფილი კაბინეტში: წამოისროლა რალაც ფრაზა და ეხლა კი ხარჯი ჩვენ უნდა ვზლოთო! და აი სწორეთ ამ დროს გამოირკვა, თუ რა დიდ ანგარიშს უწევენ ევროპაში, მთელს მსოფლიოში, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების სიტყვას. უკანასკნელის ეკონომიურ ფინანსიური გეგმონია საერთაშორისო პოლიტიკაზეც ლამობს გავრცელებას—გაიძახო დენ ყოველ მხრიდან, და ეს, მართლაც, მხოლოდ წინდაუხედავთ გამოეპარებოდათ მხედველობიდან. ათეული წელი ომის შემდეგ, ამის გარდა სხვას რას ამტკიცებდა? არ ყოფილა ერც ერთი დიდი კითხვა ევროპაში თუ აზიაში, რომლის გადაჭრა შესაძლებელი ყოფილიყოს ვაშინგტონს ჩაურევლათ. ამერიკის ოც დანარჩენ რესპუბლიკაზე ხომ ლაპარაკიც მეტია, ამას ელოდება ჯერ კიდევ მონ რეც ძველი დენიონი, რომლის ძალით არავის, გარდა შეერთებულ შტატებიისა, მათ საქმეში ჩარევა არ შეუძლია. საინტერესოა, იმ დროს როცა ვაშინგტონის კაბინეტი ლამობს აღკვეთოს ომი, როგორც ნაციონალურ პოლიტიკის საშვალება, მისი ჯარები არა მარტო ნიკარაგუსს, არამედ სამს სხვა რესპუბლიკაში დანავარდობენ. და ეს აშკარა წინააღმდეგობა სიტყვასა და საქმეს შორის, თუმცა ყველას ენაზე აკე-



რია, წარმოთქმით მაინც ვერავის წარმოუთქვამს! მაშასადამე, სხვა გზა არ იყო, უნდა ცდილიყვენ დაეკმაყოფილებიათ ამერიკა, მაგრამ ისე კი, რომ, შეიძლება, მას თვითონ უარი ეთქვა დაწყებულ საქმეზე! მართლაც, ბრიანის რეზერვები სხვა გამოსავალს თითქოს არ იძლეოდა. როცა ჩვენ ომს კანონ გარეშე ვაყენებდით—უპასუხებდა ის კელოგს.—სახეში გვექონდა მხოლოდ ორი ჩვენი სახელმწიფო—საფრანგეთი და ამერიკა—, თორემ როგორ შეგვიძლია თავდამცველ ომზე ხელი ავიღოთ, ან ჩვენი მოკავშირენი დაუხმარებლათ დავტოვოთ, ან არსებული ხელშეკრულებანი დავივიწყოთ? ამიტომ ჩვენ თანახმა ვართ—განაგრძობდა ბრიანი—მივიღოთ პროექტი, თუ ომის მაგიერ, ზოგადათ, მომხდომ ომს შევიტანთ მასში და თუ, გარდა დიდებისა, პატარა სახელმწიფოებსაც მოვიწვევოთ.

კელოგმა არ მოისურვა ერთი ამ შესწორების შეტანა, მაგრამ უარი მაინც არ სთქვა თავის განზრახვაზე! ეს იქნებოდა მეორე დიდი სკანდალი საპრეზიდენტო არჩევნების წინ! სწორეთ ეს არჩევნები იყო ნაშდვილი ძარღვი ვაშინგტონის ნაბიჯებისა როგორც შარშან ქვენვაში, ისე წელს პარიზში. მან გადაუგზავნა თავისი პირვანდელი პროექტი, პარიზის გარდა, ლონდონს, ბერლინს, რომს, ტოკიოს და მოსტხოვა მათ მომხრობა. ეს კი იყო არაჩვეულებრივი მოქცევა პარიზის მიმართ, არც კი შეეკითხა უკანასკნელს წინასწარ, მოლაპარაკება ხომ მათ შორის სწარმოებდა და ინიციატორიც ბრიანი იყო.

დიპლომატიურ ეტიკეტს ვინ ჩივის, საფრანგეთს სრული გარიყვით. იზოლიაციით, ემუქრებოდნენ. მაგრამ აქ იგრძნეს სწორეთ ვეროპის სახელმწიფოებმა ერთგვარი სოლიდარობა კანდიერ ამერიკის წინააღმდეგ და ყველაზე უფრო ენერგიულათ ლონდონის საგარეო სამინისტრო ამუშავდა. კლასიკური იყო ჩემბერლენის საპასუხო ნოტა, რომელიც გარეუღლათ თითქოს სრულიად ეთანხმებოდა კელოგის წინადადებას, ხოლო არსებითათ ბრიანის რეზერვებს იმეორებდა! ერთა ლიგის სტატუტი და ლოკარნოს პაქტი ხელუხლებელი უნდა დარჩეს—ამბობდა ის ხაზგასმით—და, ამას გარდა, ბრიტანეთის იმპერიას აქვს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში (ეგვიპტე, ინდოეთი) ისეთი ინტერესები, რომ მათი შელახვა ომზე ხელს ვერ აგვალბინებს. ლონდონის დიპლომატია ამუშავდა ბერლინშიც, რომშიც, ტოკიოშიც და შედეგაც არ დააყვნა; პარიზი დამშვიდებული იყო, რომ მისი თვალსაზრისი იმარჯვებდა.

კელოგი იძულებული ხდება როგორც საჯარო სიტყვით, ისე ნოტებით გააქარწყლოს «გაუგებრობა». ქვეყნის თავდაცვა—ამტკიცებს ის—თავის თავთ იგულისხმება, არც ერთა ლიგა და ლოკარნო იბლალება ჩემი პროექტით, პირიქით, მათი და ჩემი პროექტის მიზანი ერთი და იგივეა: მშვიდობიანობის განმტკიცება. და რომ ამ სიტყვებში არავის იჭვი არ შეეპაროს. ის თანხმდება ხელმოსაწერათ, გარდა დიდი სახელმწიფოებისა, მოწვეულ იქნენ: ბელგია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, და ბრიტანეთის დომინიონები, ე. ი. ლოკარნოს დანარჩენი მონაწილენი.

ამრიგათ, მოხდა სრული შეთანხმება, მხოლოდ იმ პირობით, რომ კელოგის ტექსტი უცვლელი დარჩა და საფრანგეთის რეზერვები კი განმეორებული იქნება მის წინასიტყვაობაში და საპასუხო ნოტებში. 27 აგვისტოს დასახლებულ სახელმწიფოების წარმომადგენლენი დიდის შეიმით მოაწერენ ხელს ხელშეკრულებას პარიზში, საიდანაც ინიციატივა გამოვიდა.

რაც შეეხება სხვა სახელმწიფოებს, კელოგი თავიდანვე თანხმდებოდა, რომ მათ შეუძლიათ შემდეგ შეუერთდენ ხელშეკრულებას. რატომ მაშინვე არ შეიძლებოდა, ვანა უფრო დიდ შთაბეჭდილებას არ მოახდენდა, მსოფლიოს ყველა სახელმწიფოებს რომ ერთ დღეს მოეწერათ ხელი? ამის ასხნას გარკვევით არავინ იძლევა და, შეიძლება, ბოლომდის გაურკვეველი დარჩენილიყო, უცბათ ჩიჩერიინს რომ თავი არ წამოეყო! მან ინტერვიუ მისცა პრესას—ნოტით ვისთვის უნდა მიემართა!—და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა პროექტი. მისი ავტორნი—ამბობს ის—ჯამბაზობენ, კაპიტალისტ-იმპერიალისტები თავს იკატუნებენ, ომისთვის სწორეთ ესლა ემზადებიან და ისიც ს. ს. რ. კ. წინააღმდეგ. და ამ საუაღდებულთ ფრანგოლოგის შემდეგ, ჩიჩერინი, სიმბართლე უნდა ითქვას, არ მალავს თავის მწუხარებას, რომ მოსკოვი არ გაირიეს საქმეში. შეიძლება—ამბობს ის—ჩვენ შეგვეტანა ზოგიერთი შესწორება ტექსტში და ხელის მოწერაზეც არ ვიტყოდით უარს. არა, უარს მაშინაც არ იტყოდენ, თუ გინდ შესწორებაც არ მიეღოთ, ე. ი., თუ გინდ ს. ს. რ. კ-ის წინააღმდეგი ყოფილიყო იგი, როგორც ამას თვითონვე ამტკიცებდა!

ამკარაა, მაშასადამე, ყველა სახელმწიფოები იმიტომ არ მოიწვიეს, რომ მათ შორის საბჭოთა მთავრობისთვისაც უნდა გაეგზავნათ უწყება, ხოლო ეს ვაშინგტონს არ სურდა! ნუ დაივიწყებთ, თუმცა მოსკოვის მთავრობა ბევრმა სახელმწიფომ იცნო, მაგრამ ამას ვერ ექნებოდა მისთვის ისეთი მნიშვნელობა, როგორიც ამერიკის ცნობას. უკანასკნელი, როგორც ვთქვით, უძლიერესი ფაქტორია საერთაშორისო ასპარეზზე, და განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ ის არის დღეს მთელი მსოფლიოს ხაზინა, საიდანაც ყველა სესხს იღებს... გარდა მოსკოვისა, რომელსაც ძილშიც და ცხადათ მართლა სესხი ეზმანება! ვაშინგტონის წარმომადგენლის გვერდით მოსკოვის წარმომადგენლის ხელის მოწერა, თუ პირდაპირ არა, არაპირდაპირ მაინც პირველის მიერ მეორის ცნობას მოასწავებდა—აი, რა არ სურდა კელოგს. ჩიჩერინის გამოსვლამ გამოიწვია ერთგვარი ჩოჩქოლი, ზოგი, დაგვიანებულთათ—ამბობდა, ზოგიც მწუხარებას გამოთქვამდა, დიდი სახელმწიფოებიდან მართლთ რუსეთი რჩება განხელო, მაგრამ საერთოთ არავინ იმტრევეს ამაზე თავს და ვაშინგტონის საგარეო სამინისტროდან გამოდის ხმა: არა უშავს, შემდეგაც შეუძლია რუსეთს ხელი მოაწეროს.

ამ რიგათ, უარს არ ეუბნებიან ჩიჩერინს—ხელი მოაწეროს ისეთ დოკუმენტს, რომლის გამომუშავებაში მას მონაწილეობა არ მიუღია. აი, სანამდე ჩამოაქვეითეს ბოლშევიკებმა დედა-მიწის მეექვსედი!

ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა მთავრობის ხელის მოწერას იგივე მნიშვნელობა არ ექნება, რაც სხვისას. მოსკოვის «მშვიდობიანობა» თითქმის ყველას სჯერა, რამდენათ მას ომისათვის არც ღონე შესწევს, არც გამბედაობა. ესმით სტალინის ოცნებაც, ვინცლო ომმა გამაფრთხილებს მოჯადოებულ წრიდან... მაგრამ მათი სიტყვა, პატროსანი სიტყვა არავის სწამს.

კვლავ-ბრიანის ხელშეკრულება სწორეთ პატრიოსანი სიტყვაა, სხვა არაფერი. ხშირათ ამბობდენ ერთა ლიგის სხდომებზედ, ფიზიკურ განიარაღებას წინ მორალური განიარაღება უნდა უძღოდესო, ეს ხელშეკრულებაც სწორეთ ამას ისახავს მიზნად. და ამ მხრივ მას დიდი მნიშვნელობა აქვს. მართალია, ხშირათ იხსენებენ ბელგიის მაგალითს, მას

საქართველოც ზედ დაერთო, როცა ხელშეკრულებას ერთი მხარე «ნაფლეთ ქალაქად» აქცევდა, მაგრამ სწორეთ იმიტომ. რომ ეს მაგალითი ძალიან იშვიათია საერთაშორისო განწყობილებაში, ხელშეკრულება დაწინაურებულ და უფლებრივ სახელმწიფოთა შორის ცალიერი სიტყვა არ არის და მისი დარღვევა დაუსჯელათ არავის ჩაუვლის.

კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს, მეორეს მხრით, ამერიკის ჩამოთრევის ევროპისა და აზიის მშვიდობიანობის საქმეში. ამერიკამ გადააბიჯა მის დიდ პრეზიდენტ ვილსონის ანდერძს, განზე გაუდგა ერთა ლიგას, მაგრამ შემდეგ მანაც იგრძნო ამ განცალკევების უხერხულობა. სხვა არა იყოს რა, ის ამით რაზმავდა სხვა სახელმწიფოებს თავის წინამძღვრად.

გუმაი.

ესტონეთის ჯარი.


გასული წლის აპრილის 25-ს ესტონეთმა იდღესასწაულა პირველი ეროვნული ათასეულის ათი წლის თავი. ეს ათასეული დღეს უკვე არ არსებობს. ხოლო მისი ყოფილი აფიცრები და იმ კომიტეტების წევრები, რომლებიც შესდგნენ ეროვნულ სამხედრო ერთეულების მოსაწყობად, დღეს თავმოყრილი არიან «პირველ ესტონელ ათასეულის საზოგადოებაში», მოსავონებლად მეტად ნაყოფიერი წარსული მოღვაწეობისა. ამ «საზოგადოებას» მიზნად აქვს, სხვათა შორის, მომზადება ისტორიისა სამხედრო ნაწილების შედგენისა ესტონეთში.

სრულიად განსხვავებული რუსებისაგან თავის რასით, ენით, სარწმუნოებით, კულტურით, ხასიათით ესტონელი ხალხი რამდენიმე თაობის მანძილზე მტკიცე ბრძოლას აწარმოებდა თავის კულტურული არსებობის დასაცავად. ბალტიის მხარეში მსხვილი შესაკუთრებები იყვნენ გერმანელები, რომელთაც მფარველობას უწევდა რუსის მთავრობის საგანგებო კანონები, და რომელნიც აწარმოებდენ თავის კულტურულ და ეკონომიურ პოლიტიკას. ამ გერმანელ მემამულეებსა და ესტონელ ხალხს შორის წინამძღვრება იყო, რასაც მალე ზედ დაერთო რუსული ადმინისტრაციის ტლანქი მუშაობა ადგილობრივ მკვიდრთა გასარუსებლად: და ხალხის მდგომარეობა ძალზე გამწვავდა. მის არსებობას დიდი საფრთხე მოელოდა. როცა მსოფლიო ომი დაიწყო, ესტონელებს იმედი მიეცათ, რომ რუსეთი მიანიჭებდა მათ საშუალებას ეროვნულ კულტურის განსავითარებლად—ენის, სკოლის და სარწმუნოების—იმ კულტურის, რომელიც თავის თვისებით უფრო დასავლეთს უახლოვდებოდა. საომრად გაწვეული ესტონელები ლოიალურად გამოვიდნენ, აღფრთოვანებითაც და რადგან გონებრივად უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე რუსის ჯარის კაცები, თავის მოვალეობას მეტის შეგნებით და სიმტკიცით ასრულებდენ. რევოლუცია რომ მოხდა, რუსის ჯარმა დაშლა დაიწყო და იგი უკვე აღარ იზიდავდა ესტონელებს. სლავიანური შოვინიზმი არ გაჰქრა ომის დროს და ესტონელებს უსარგებლოთ და შეუძლებლად მიაჩნდათ ბრძოლა პანსლავისტუ-

რი მიზნებისათვის, დარჩენა რუსის ჯარის კაცთა შორის. უკვე დაიწყეს ლაპარაკი ესტონეთში ეროვნული ათასეულების თავმოყრის შესახებ. მით უფრო, რომ ყველა კარგად ხედავდა, თუ როგორ ბოროტად ისარგებლეს რუსეთში ლატვიელების ათასეულები და არავის უნდოდა, რომ რუსის უმაღლეს სარდლობას ასევე გამოეყენებია ესტონელები ზარბაზნების ხორცად.

ესტონელ სამხედრო ერთეულების მოწყობის სურვილმა და მათი სამშობლოში თავმოყრის განზრახვამ დაამსხვრია ყოველივე რყევა და ყოყმანი თვითონ ესტონეთში და გამოხმაურება ჰპოვა იმ ესტონელთა შორის, რომელთაც გათვალისწინებული ჰქონდათ ყოველგვარი ახალი შესაძლებლობა. როგორც ლოდიკური შედეგი ავტონომიისა. 1917 წლის მარტის 26-ს ესტონელ სამხედრო პირთა ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყო პეტერბურგში გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 40 ათასმა ესტონელმა, მათში 12 ათასმა აფიცრმა და სალდათმა. რუსეთის საყოველთაო აღრევის დროს ამ დისციპლინიანმა მასსამ, რომელიც მოითხოვდა თავის ქვეყნისთვის ავტონომიას, სწავლა-განათლებას დედა-ენაზე და სხვა ეროვნულ თავისუფლებებს—დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მისი გავლენით იყო, რომ ესტონელებმა სულ მოკლე დროში მიიღეს ნებართვა ეროვნული კრების მოსაწყვედად.

ყველგან, სადაც კი რუსის ჯარში მოიპოვებოდენ ესტონელები. დაუყენებლივ შეადგინეს ესტონელ ჯარისკაცების კომიტეტები, რომელთაც თავში კავშირი ჰქონდათ ესტონელ ჯარისკაცების ცენტრალურ კომიტეტთან პეტერბურგში. მაგრამ მალე მთელი სიმძიმე მოძრაობისა გადავიდა ესტონეთში. ესტონელ ჯარისკაცების კომიტეტმა ტალინში, რომელსაც ხელმძღვანელობდა პიტკა (შემდეგ უფროსი ესტონეთის საზღვაო ძალების), მიიღო სახელი ესტონეთის არმიის უმაღლესი კომიტეტისა, გაიფართოვა რევოლუციონურად თავისი უფლებები და მოუწოდა სამშობლოში დასაბრუნებლად რუსის



ჯარში გაფანტულ ესტონელებს და შეადგინა ახალი სამხედრო ერთეულები. უმაღლესი კომიტეტი შესდგებოდა სამხედრო პირებისაგან, გარდა პიტკასი, რომელიც ეწეოდა დაულაღვ შრომას ჯარისკაცთა ორგანიზაციისა და გასაწვრთნელად, მათვის სურსათის მისაწოდებლად. კომიტეტის თავმჯდომარე იყო რენერვის აფიცერი კონსტ. პატს, შემდეგ არჩეული ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად.

სხვა კომიტეტებში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მალევა-ბიურო (ეროვნული არმიის ბიურო) ტარტიუში, რომლის თავმჯდომარე მისი უდიდესი ნაყოფიერების დროს იყო ამ სტრიქონების ავტორი. ეს კომიტეტები სდგებოდა ადგილობრივი საზოგადოების ინიციატივით. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ რადგან არ არსებობდა პოლიტიკური ეროვნული წარმომადგენლობა, ესტონეთში არსებულ ყოველგვარ საზოგადოებათა წარმომადგენლების კავშირი ასრულებდა მის როლს და ხელს უწყობდა იმ ზომების განხორციელებას, რაიც საუბროდ მიაჩნდა ქვეყნის ინტერესისთვის. ამ საზოგადოებათა კავშირმა შექმნა ტარტიუში არმიის ბიურო, აირჩია თავმჯდომარე და მისცა მას უფლება ყველა სასარგებლო პირის მოწვევისა. ეს ბიურო ფორმალურად არ იყო დამოკიდებული ტალინის უმაღლეს კომიტეტისაგან, ისე როგორც სხვა სამხედრო კომიტეტები რაკვერსა, ვილჟანდასა და ვორიუში.

უმაღლესი კომიტეტი და ტარტიუს ბიურო რასაკვირველია ასრულებდნენ უფრო ფართო და მნიშვნელოვან საქმეებს. ვიდრე დანარჩენი ბიუროები, რომელნიც უმთავრესად აბინავებდნენ უმაღლეს კომიტეტის გამოგზავნილ ჯარისკაცებს. მალევა-ბიურომ დაგზავნა დელეგატები რუსეთის სხვადასხვა მხარეებში ესტონელ აფიცრობის ჩამოსაყვანად; უხვმა შემოწირულობამ საშუალება მისცა მას რუსის დანგრეულ კახარების აღსადგენად და ჯარისკაცთა ყოველმხრივ უზრუნველყოფისათვის.

რუსის მთავრობა უნდობლად უტკეპროდა ეროვნულ სამხედრო, ერთეულების დაგროვებას, მაგრამ იგი ფაქტის წინაშე იდგა და ჩვენ ვცთილობდით დაგვეწმუნებია, რომ მხოლოდ ეროვნულ ათასეულებს შეეძლოთ დაბრკოლებათა დაძლევა საზოგადო არევიდარების დროს. ამასთანავე საიდუმლო სხვადასხვებზე ჩვენ უკვე შევიმუშავეთ ესტონეთის მომავალ არმიის წესები. ერთეულები, ნებადართული თუ დაურთველნი, უკვე არსებობდნენ—ჩვენ გვქონდა დივიზიის მთავარი შტაბი, ორი ათასეული ქვეითა ჯარის, ერთი ათასეული სათადარიგო ჯარის (5 ათასი კაცი), ერთი ესკადრონი ცხენოსანთა და ერთი რაზმი არტილერიისა. ამას გარდა გვყავდა კადრები მეზღვაურთა. ექვსი თვის ბოლოს ყველა ჩვენს ცოცხალ ძალებს მიუხედავად მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დიდი წინამძღოებისა და წინამძღვ ლატვიელ მობოლშევიკე ათასეულებისა, რომელნიც დაბანაკებულნი იყვნენ სამხრეთ ესტონეთში, მოუხდათ გალაშქრება ესტონელ ძალების შესაჩერებლად.

თუმცა დიდი ნაწილი ჩვენი ინტელიგენტებისა და სამხედრო პირებისა იზიარებდა სოციალ-დემოკრატიულ და სოც-რევოლუციონურ აზრებს, მაგ-

რამ ისინი არ განიცდიდნენ კომუნისმის გავლენას. სოციალისტურ იდეების ქვეშ იმალებოდა წრფელი და აღფრთოვანებული პატრიოტიზმი. ესტონელი ათასეულები არამც თუ არ აგზავნიდნენ დელეგატებს მუშათა და სალდათთა საბჭოებში, არამედ მტრული განწყობილება ჰქონდათ მათთან. აფიცრებისთვის ჩინების აგლეჯას აქაც ჰქონდა ადგილი, ხოლო არასოდეს მიუღია მწვავე ხასიათი.

ესტონეთში დაბინავებული რუსის ნაწილები საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენდნენ და ეს გარემოება აძნელებდა დისციპლინის დაცვას ესტონელ ათასეულებში. პირველი ესტონელი ათასეული ბლოკადის უწყევდა წინამძღოებას ბოლშევიკების ძალადობას. ის გაგზავნილი იყო, რათა ხელი შეეშალა გერმანელების წინსვლისთვის რიგასთან, მაგრამ იძულებული გახდა დაბრუნებულიყო ესტონეთში ჰაპსალუში. 1917 წ. ნოემბრის 15-ს მოწვეული ეროვნული კრება ესტონეთისა გარეკა რუსულმა მუშათა და სალდათთა საბჭომ. პირველი სხდომის გათავებისთანავე, მაშინ პირველმა ათასეულმა მიიწვია ის თავის მფარველობის ქვეშ ჰაპსალუში. მაგრამ რადგან მთელი ძალაუფლება რუსის უფრო რიცხოვან სალდათების ხელში იყო, ეროვნული კრების წევრებმა ვერ შესძლეს ტალინიდან გასვლა.

შემდეგ პირველი ათასეული გაგზავნილ იქნა მიუნიუს კუნძულზე, სადაც უნდა შეხვედროდნენ გერმანელებს, რომლებიც იქ გადმოსხმას აპირებდნენ. დიდი ზარალის შემდეგ ათასეული იძულებული იყო ისევ ჰაპსალუში დაბრუნებულიყო. აქ წინამძღვობას უწყევდა მუშათა და სალდათების საბჭო. ვიდრე გერმანელების ოკუპაცია მოხდებოდა. დროებით გერმანელები ლოიალურად ეპყრობოდნენ ესტონელთა დივიზიას, მაგრამ მალე დაშალეს.

ხოლო ასეთის წარმატებით დაწყებული საქმე ვერ მოსპო ოკუპაციამ. დაშლილი დივიზიის აფიცრებს საიდუმლო ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, თუმცა ოკუპანტები ძალიან აბრკოლებდნენ ამას. საგანგებო შიკრიკები დადიოდნენ მაზრიდან მაზრაში, სოფლიდან სოფელში და მიქონდ-მიქონდათ ცნობები. როცა გერმანელებმა დასტონეთის ესტონეთი და სამხედრო მასალა ან გააფუჭეს ან თან წაიღეს, ჩვენმა აფიცრებმა მყისვე მოიყარეს თავი, დაუყონებლივ გამოცხადდა მობილიზაცია და რამდენიმე ასეული თოფით შეეძლეთ, წინამძღვობა გაგვეწია ბოლშევიკებისთვის ნარეაში და ამ თავგანწირულ და გმირულ თავდაცვაში ისახელა თავი მოსწავლე ახალგაზღვრებამ. დიდის მსხვერპლის განწირვით დავიხიეთ ტალინამდის. ამ დროს მოგვეწველა 200 ფინლანდიელი მოხალისე. ინგლისელებმაც ვამოგვეცეს ორი კრეისერი წითელი ფლოტის საწინამძღვოთ და მალე მოვასხრებთ შეტევასზე გადასვლა. მთელი ესტონეთი დავრანხმეთ საბრძოლველად, უკუვადგეთ ბოლშევიკების ყოველი შემოტევა. დავიბრუნეთ ნარეა, ტარტიუ და ერთი თვის დასასრულ ესტონეთის ტერიტორია ერთიან გავეწმინდეთ წითელ ათასეულებისაგან, რომლებიც შესდგებოდნენ ლატვიელებისა და ჩინელებისაგან.

ჩვენი მდგომარეობა თავში სწორედ რომ უიმე-

დო იყო. არავითარი სერიოზული დახმარება არ იყო მოსალოდნელი გარედან. გვაკლდა იარაღი. ვითარების დასახასიათებლად საკმარისია იმის განსენება, რომ ბოლშევიკების შემოტევის დროს ტარტიუში მხოლოდ 60 თოფი გვქონდა. აფიცრები და მოსწავლენი, რომელნიც იცავდნენ ნარვას, ცუდათ იყვნენ გაწრთვნილნი და შეიარაღებულნი. ჰაპასალიუში, სადაც დაბანაკებული იყო პირველი ათასეული, მოახერხეს 600 თოფის გადაჩენა, გერმანულ ჯარისკაცებს ფული მისცეს, რომ ეს თოფები არ გაეფუჭებინათ. ამ ჰაპასალიუდან მოვიდა პირველი ათასეულის ერთი რაზმი ტალინის დასაცავად. ამავე დროს პიტკამ შეაკეთა ორი გემი, რუსების დატოვებული—ერთი კრეისერი და ერთი კანონირი, შეაიარაღა აგრეთვე შვიდი სავაჭრო გემი. მრავალი ხალხი დახოცეს ბოლშევიკებმა ნარვასა, ბაკვერსა, ტარტიუსა, ვალსკსა და ვორიუში. ნარვაში მოკლულები სიბინძურის თხროლებში ჩაყარეს, ტარტიუში მდინარეში გადააგდეს. სხვათა შორის მოკლეს მართლმადიდებელი ეპისკოპოსი პლატონი, ღვთისმეტყველების პროფესორი ჰანი, მრავალი მღვდელი, ქალი და ბავში...

იმედმა და იმის რწმენამ, რომ დახმარება მოვიდოდა, თუ ჩვენ გადაწყვეტილი გვექნებოდა ბრძოლა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. იმედმა და რწმენამ რომ არ დაგვტოვებდნენ დაუხმარებლად ერს, რომელიც მოკვდებოდა და არ კი დაემორჩილებოდა მტერს, ამ იმედმა და რწმენამ არ მოგვატყველეს. ბოლშევიკების ფლოტის იერიშები ტალინზე მოგერიებული იქნა ინგლისის გამანადგურებლების მიერ, რომელთაც წაართვეს ბოლშევიკებს და გადმოგვცეს ჩვენ ორი კრეისერი—ეს იყო საფუძველი ჩვენი ფლოტის, ერთს დავარქვით «ლენინუკ», მეორეს «ვამბოლა». ფინლანდელების დახმარებით ჩვენ გადავდით კონტრიერიშებზე და პიტკას მოწყობილ ჯავშნიან მატარებლებით შევედით ტარტიუში, და როგორც ზევით მოვიხსენიე, ერთ თვეში მთელი ჩვენი სამშობლო განვათავისუფლეთ. მთელს ინტელიგენციას, მასწავლებლებს, პროფესორებს, რექტორსაც, მსახიობებს, ინჟინერებს, ადვოკატებს—ყველას ვასწავლეთ სრულა და გავგზავნეთ საბრძოლველად. ერთი ათასეული მეორეს მისდევდა. უკან დახეულმა ბოლშევიკებმა უხვად დაგვიტოვეს იარაღი და სხვა მასალა, რომელიც კარგად გამოვიყენეთ მათ წინააღმდეგ. და როცა დაინახეს, რომ ესტონელებს უნდათ და შეუძლიათ ბრძოლა, რომ ესტონეთი განთავისუფლებულია თავდამსხმელებისაგან, დახმარება ფართოდ მოვიდა—შესაიარაღებელი მასალის სახით—ინგლისელების, ფრანგების და ამერიკელების მხრით.

რაკი ესტონეთი განთავისუფლდა, საქირო იყო ახლა ბოლშევიკების გარეკა ლატვიიდან. რომ საშიშროება არ ყოფილიყო იქიდან და თან დავხმარებოდით ლატვიის კანონიერ მთავრობას, რომელიც ბოლშევიკებმა გამოაგდეს მისი ქვეყნიდან და დღეს გემზე იყო შეხიზნული ლიბავის პრობლემა. ჩვენმა ჯარებმა შეუტეეს მტერს რიგის მიმართულებით და დაეხმარნენ ლატვიელებს ორი ათასეულის შესადგენად. ამ ომის დროს იშვიათი, პირდაპირ გაუგონარი ოპე-

რაცია შეასრულეს ესტონელთა კავალერიის და არტილერიის რაზმებმა; ქვეითა ჯარის დაუხმარებლად შეიჭრენ კურლანდიაში, დვინას ზევით, და ბოლშევიკებისაგან განათავისუფლეს ქალაქები ვოლმარი და ვანდანი. მაგრამ აქ მოგვიხდა შეტაკება გერმანელებთან, რომელთაც მოითხოვეს ესტონელ ჯარის გაყვანა ლიტვიიდან. კარგად ვხედავდით, თუ რა საფრთხე იქნებოდა ჩვენთვის, თუ ფონ დერ გოლცი «რკინის ბრიგადა» ესტონეთის საზღვრამდე წაიწვიდა. ვიცოდით გერმანელების გეგმები ბალტიის დაპყრობის და კოლონიზაციის შესახებ. გერმანელების განზრახვამ შეუკავებელი აღშფოთება გამოიწვია, ნამეტურ არმიაში. დაჭრილები გარბოდნენ სავადმყოფოებიდან, რომ მონაწილეობა მიეღოთ ბრძოლაში რიგასთან. ბრძოლა საშინელი იყო. «რკინის ბრიგადა» დამარცხდა და გადადებულ იქნა დვინის გადაღმა. ლატვიის კანონიერმა მთავრობამ შესძლო თავის სატახტო ქალაქში რიგაში დაბრუნება. ფონ დერ გოლცის საწინააღმდეგე ოპერაციაში მონაწილეობა მიიღო ჩვენმა ნორჩმა ფლოტმა, ახალი ერთეულებისაგან შემდგარმა და შეიარაღებულმა თანამედროვე ზარბაზნებით.

«რკინის ბრიგადის» და ლანდსვერის ოპერაცია უკანასკნელი ეპიზოდი იყო გერმანელთა ცდის ბალტიის სახელმწიფოების დასაპყრობად. ფონ დერ გოლცის ხელმძღვანელობით ლანდსვერი შესდგებოდა აზნაურების, ბურჟუაზიის მოხალისეებისაგან, ხლოა მის გვერდით «რკინის ბრიგადა» წარმოადგენდა მშვენიერად შეიარაღებულს სამხედრო ერთეულს. ყველა გერმანულ ჯარისკაცს დაპირებული ჰქონდა მიწა დაპყრობილ ქვეყანაში. კურლანდიის თავ-აზნაურობამ წინასწარ გადაწყვიტა თავის მამულის ნაწილის დათმობა გერმანულ ახალშენებისთვის; ლატვიელ გლეხებს უნდა ჩამორთმეოდათ მიწა, რომელიც მიეცემოდათ ახლად მოსულებს. მაგრამ ესტონელთა ჯარის გამარჯვებამ ბოლო მოუღო გერმანელთა ოცნებას.

სხვა ფრონტებზე ჩვენი ოპერაციები წარმატებით ვითარდებოდა, ბოლშევიკების წინააღმდეგ. ჩვენ დავიცავით ნარვა, ავიღეთ პსკოვი.

მაგრამ ახალი განსაცდელი მოელოდა ახალგაზდა ესტონელ არმიას. გერმანელები კვლავ გამოჩნდნენ რიგასთან, ბერმონდტ-ავალოვის მეთაურობით. ერთხელ კიდევ გაემგზავრენ ჩვენი ჯავშნიანი მატარებლები ლატვიელთა სატახტო ქალაქის განსათავისუფლებლად. ხლოა ახლა თვითონ ლატვიელები საკმაოდ ღონიერი იყვნენ და გაუმკლავდნენ მტერს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა ბრძოლამ თავისუფლებისათვის, ბრძოლამ პატარა და სუსტი ერისამ დიდი და უსამართლო ძალის წინააღმდეგ, გამოიწვია მუხობელ სახელმწიფოებში მისწრაფება ჩვენდა დასახმარებლად. გარდა ფინლანდელებისა, რომლებიც განუწყვეტლივ მოდიოდნენ საშველად, მოხალისეთა რაზმები შესდგნენ აგრეთვე შვეციასა და დანიამი. ფინლანდელებმა და დანელებმა ბევრი მსხვერპლი გაიღეს ჩვენთვის.

ჩვენი მდგომარეობა ფრიად გამწვავდა ერთხელ კიდევ ზავის შეკერის წინ.



ნარვაში შემდგარმა, ჩრდილო-დასავლეთის არმიამ იუდენიჩისამ, რომელსაც ექონებოდა მოკავშირენი, შეტევა დაიწყო ბოლშევიკების წინააღმდეგ პეტერბურგის მიმართულებით. არმია დამარცხდა და მას უკან დაეღვენენ ბოლშევიკები. ჩვენ იარაღი ავყარეთ იუდენიჩის ჯარებს და რამდენიმე თვის განმავლობაში იძულებული ვიყავით საპოზიცია ომი გვეწარმოებინა ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელთაც არ მივეცი ერთი ნაბიჯის წინ წამოწევის საშუალება.

ეს ბრძოლა დასრულდა 1920 წ. თებერვლის 2 დადებულ საზავო ხელშეკრულებით, ესტონეთისთვის სასარგებლო პირობებით. ეს უკანასკნელნი სა-

ბჭოთა რუსეთმა ლოიალურად არ შეასრულა. ხოლო რაც მთავარია, ჩვენ მივიღეთ: თავისუფლება. არ დავიანდა ჩვენი ცნობაც ფაქტიური და იურიდიული დიდი სახელმწიფოების მიერ და დღეს ჩვენ შეგვიძლია ვიდღესასწაულოთ ჩვენი დამოუკიდებლობის 8 წლის თავი, იმის მეორებით, რომ თავიდანვე მოუყარეთ თავი და შევიანხეთ ყოველგვარ მოსალოდნელობისათვის ჩვენი ქვეყნის ცოცხალი ძალები.

K. A. Hindrey

ყოფილი თავმჯდომარე ყ. მალევეს ბიუროსი. *)

*) ეს წერილი დაწერილია საგანგებოთ ჩვენი გამოცემისათვის, რისთვისაც გულისხმობდა მადლობას ვუძღვნი პატივცემულ ავტორს. რე დ.

ირლანდიელების ბრძოლა თავისუფლებისათვის.

V.

1921 წლის ივლისში ინგლისის მთავრობის თავმჯდომარემ—ლოიდჯორჯმა წინადადებით მიმართა ირლანდიელ ნაციონალისტების ლიდერს დეველერას, რომ მას მონაწილეობა მიეღო კონფერენციაზე, სადაც უნდა მომხთარიყო შეთანხმება და დადებულ იქნა ხელშეკრულება და მით ბოლო მოღებოდა იმ კონფლიქტს, რომელიც საუკუნოებით გრძელდებოდა ინგლისს და ირლანდიას შორის. ოთხი წლის განმავლობაში ლოიდჯორჯის მთავრობა ეწეოდა უსასტიკეს ტერორს, რომლის მზგავსი ირლანდიას არ ახსოვს თვით თიუდორების, სტუარტების, კრომველის და პიტის დროსაც კი. სულ ერთი თვის წინეთ ლოიდჯორჯი ირლანდიელ ერს განადგურებას და მისი «ხერხემლის გაჩეჩქვას» ემუქრებოდა, ესლაკი ის კონფლიქტის მოგვარებაზე, შეთანხმებაზე და ხელშეკრულების დადებაზე ლაპარაკობდა. ლოიდჯორჯის მიერ ფრანტის ასე უცბათ შეცვლა არავის გაკვირვებია. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა ხომ სავსეა მუდმივ ცვალებადობით! მის წინადადებას, მის სიტყვას ირლანდიელები დიდი იჰვით და სიფრთხილით შეხვდენ, მაგრამ ნდობით ლოიდჯორჯს თვით თავის საკუთარ პარტიამიდაც არ ეპყრობიან.

იმ მოლაპარაკების დროს, რომელიც წინ უძღოდა კონფერენციის გახსნას, ინგლისის მთავრობა თხოულობდა ირლანდიელებისაგან, რომ მათ კონფერენციაზე დასასწრებლად წინასწარ ზოგი პირობები მიეღოთ. ირლანდიელები კი კატეგორიულ უარს აცხადებენ რაიმე წინასწარი პირობების მიღებაზე. დაბოლოს კონფერენცია მოწვეულ იქნა ყოველივე პირობის გარეშე. ირლანდიელების მხრით კონფერენციას დაესწრენ: გრიფითი შინფენების პარტიის დამარსებელი და კოლნისი—ირლანდიელ რესპუბლიკანურ ჯარის სარდალი. მოლაპარაკება გრძელდებოდა რამდენიმე თვის და ორივე მხარემ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 1921 წლის 6 დეკემბერს. როგორც საერთოდ, ამ ხელშეკრულებასაც კომპრომისული ხასიათი აქვს. დათმობებს ქონდა ადგილი ორივე მხრივ. მაგრამ თავი და თავი ის იყო, რომ ხელშეკრულება დაიდო ორ თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის. 1800

წლის ირლანდიის ინგლისთან შეერთების აქტი ამიერიდგან აღარ არსებობს. 6 დეკემბერის ხელშეკრულების ძალით ირლანდია ამიერიდან თავისუფალი სახელმწიფოა. ირლანდიას ეყოლება პარლამენტი და აღმასრულებელი ძალამხლოთ ამ პარლამენტის წინაშე იქნება პასუხისმგებელი. ირლანდიის მხრივ კომპრომისი გამოიხატება იმაში, რომ ირლანდიის პარლამენტის წევრებმა ფიცი უნდა მიიღონ ინგლისის მეფისადმი ერთგულებაზე, ინგლისს უფლება ეძლევა ისარგებლოს ომის დროს ირლანდიის ზოგი საზღვაო ბაზით და ულსტერი (ჩრდილო ირლანდია), სანამ ის ამას საჭიროთ დაინახავს, რჩება ირლანდიის ნაციონალურ ერთეულის გარეშე.

წინეთ კონსერვატორებს და მემარჯვენე ლიბერალებს ირლანდიის უბრალო ავტონომიაც კი არ უნდოდათ, ესლაკი ისინი იძულებული იყვნენ, ირლანდიის ინგლისიდან ფაქტიურად დამოუკიდებლობას შერიგებოდენ. «ირლანდიის თავისუფალ სახელმწიფოს» და ინგლისს შორის ხელშეკრულების დადება ბევრ ინგლისელს არ მოსწონდა, ასეთი რამ მათი აზრით ინგლისის ნაციონალური დროშის შეურაცყოფა, «დიდი სიგიჟე და ინგლისის მთელ ისისტორიაში უიდეგსი სასირცხვეო აქტი» იყო. მაგრამ ისტორიის განაჩენს უბრალო საყვედურებით ვერვის გაექცევა. ერის ბრძოლას თავისუფლებისათვის ყოველთვის თავისი ლოიაკ აქვს. ინგლისელები ესლა თავს მხოლოთ იმით ინუგეშებდენ, რომ ირლანდია საკუთარ ძალებით თავისთავს ვერ მოუვლიდა, თვით დარწმუნებოდა მის მისწრაფებათა განუხორციელებლობაში და დაბოლოს იძულებული გახთებოდა ინგლისს ხელახლათ უკან დაბრუნებოდა.

როგორი იყო ინგლისის მუშათა პარტიის დამოკიდებულება ირლანდიის დამოუკიდებლობის საკითხისადმი? ინგლისის მუშათა კლასი გადაჭრით წინააღმდეგი იყო ყოველივე იმ ბარბაროსობის და რეპრესიების, რომელსაც ინგლისის მთავრობა ირლანდიაში ჩადიოდა. ამ მხრივ მუშათა ხელმძღვანელები ყოველთვის ირლანდიელების მხარეზე იყვნენ და პარლამენტში, თუ საჯარო კრებებზე მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებდენ და ირ-

ლანდიისათვის შინაურ თვითმართველობას—ავტონომიას მოითხოვდნენ. მაგრამ ისინი ამაზე უფრო შორს არ მიდიოდნენ და არა თუ ირლანდიის სრულ დამოუკიდებლობას არ ექომაგებოდნენ, არამედ ამას კიდევაც ებრძოდნენ. საშუალოდ დიდ და იმპერიალისტურ ქვეყნებში, რომელთაც ჩავგვრა—დამონება ისტორიულათ არა ერთ და ორ წვრილ ერს განუცთია, იმპერიალისტურ ფსიქოლოგიას სწირათ ძლიერი დიდი გავლენა აქვს თვით მუშათა კლასზე და მის ხელმძღვანელებზე. ალბათ ამით აიხსნება ის, რომ ინგლისის მუშათა პარტიის განწყობილება დამოკიდებულ ერთა მიმართ კიდევ ბევრ გაუმჯობესობას მოითხოვს. ინგლისის მუშათა პარტია სწირათ ურჩევდა ირლანდიელ მუშებს, რომ მათ ბრძოლის უკიდურესობაზე და სრულ დამოუკიდებლობაზე ხელი აეღოთ. თქვენ პატარა ერი ხართ, დიდ ინგლისთან ბრძოლას ვერ გაუძლებთ, დროებით რომც კი გაიმარჯვოთ, შეიძლება ხელახლათ დაკარგოთ თავისუფლება. შეერთებული ძალებით ვებრძოლოთ მოწინააღმდეგე პარტიებს და, როცა ინგლისში გვეყვალება მუშათა მთავრობა, მაშინ ირლანდიის თავისუფლებაც უზრუნველყოფილი იქნებაო. მაგრამ ირლანდიელ ერს დღემდე დღემდე ფენით სთელავდნენ ინგლისელები, ერი საშინელ მდგომარეობაში იყო და ყოველივე მხრივ ის დაქვეითებას განიცდიდა. მომავლისათვის იმედის მიცემა არ იყო ცუდი საქმე, მაგრამ დროთა განმავლობაში ერს სული სთებოდა. ესლა ისიც ვიცით, რომ 1924 წელს მუშების მთავრობას ინგლისში თავისუფლება არ უბოძებია არც ინდოეთისათვის და არც ევკვიპტისათვის. თავსუფლებას არ იძლევიან, ის მხოლოდ მოპოვებულ უნდა იქნას.

ირლანდიის მუშათა კლასი სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობისათვის პირველ რიგებში იბრძოდა და ნაციონალურ საკითხს პირველ ხარისხთან საკითხათ სთვლიდა. ვიცით, რომ ირლანდიის მუშათა მოძრაობის ლიდერი კონოლი 1916 წელს დუბლინის აჯანყებას ხელმძღვანელობდა და ირლანდიელ რესპუბლიკანურ ჯარის უმეტესობას მუშები შეადგენდნენ. ამ ბოლო დრომდე შეუძლებელი გახდა ირლანდიაში ძლიერი სოციალისტური პარტიის შექმნა: მუშები ნაციონალური ბრძოლით გატაცებული კარგათ გრძნობდნენ თავს ნაციონალისტურ პარტიებშიდაც. სოციალური და კლასთა ბრძოლის საკითხები სთება პირველხარისხთან საკითხებათ მხოლოდ დღეს, როცა ნაციონალური საკითხი გადაჭრილია და ერს თავისუფლება მოპოვებული აქვს. ესლა უკვე მუშათა პარტიას აქვს ნადაგი და საშუალება უფრო ნორმალურ პირობებში იმუშაოს და გაიზარდოს. ამას დღეს ინგლისის მუშათა პარტიაც ხედავს. რაც შეეხება 1921 წლის 6 დეკემბრის ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულებას, რომელზედაც ლოიდ ჯორჯის კალიციონურ მთავრობის წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი, დიდი უტაქტობა იქნებოდა ინგლისის მუშათა პარტიის მხრივ, რომ ასეთ პირობებში ის ამ ხელშეკრულებას თანაგრძნობით არ შეხვედრებოდა.

როგორ დადასტოს 6 დეკემბრის ხელშეკრულება

თვით ირლანდიაში? ხელშეკრულების კომპრომისულ მხარეების (ულისტერის დათმობა, ინგლისის მეფისადმი ფიცი, ომის დროს ზოგი საზღვაო ბაზით სარგებლობა ინგლისის მიერ) წინააღმდეგ გაილაშქრა შინაფენების ერთმა ნაწილმა დეველერას მეთაურობით. უმრავლესობა კი გრიფითის და კოლინსის მეთაურობით ხელშეკრულებას დიდ გამარჯვებათ სთვლიდა და მოითხოვდა მის რატიფიკაციას ირლანდიის პარლამენტის მიერ. მართალია, ამბობდნენ გრიფითი და კოლინსი, რომ ირლანდიის ტერიტორიის ერთი ნაწილის დაკარგვა მეტათ საშუალო ფაქტია, მაგრამ ესლა ინგლის-ულისტერის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყება ირლანდიელებისათვის ფიზიკურათ შეუძლებელი რამ იქნებოდა, თან ასეთი რამ ირლანდიას მთელი ინგლისის საზოგადოებრივი ზრის და სხვა უცხო ქვეყნების თანაგრძნობას ჩამოაშორებდაო. მეფისადმი ფიცის მიცემა აკმაყოფილებს ინგლისელების უბრალო თავმოყვარეობას, არსებითად კი ეს ჩვენ დამოუკიდებლობას არ საზღვრავს და არაფრით არ აფერხებსო. დიდი ყურადღება არც იმ კომპრომისს უნდა მიექცეს, რომ როდესმე ომის დროს ინგლისს უფლება ექნება ჩვენი ზოგი საზღვაო ბაზით ისარგებლოს, რაც მეტად გარდამავალი რამ არისო. ხელშეკრულება კომპრომისიული ხასიათის არის, მაგრამ დღევანდელ პირობებში მას ვერ ავცდებითო. ამ კომპრომისების გამოსწორება უფრო ადვილი იქნება მომავალში და ისინი, დიხასო. გამოსწორებულ უნდა იქნასო. თავი და თავი კი ის არის, რომ ამიერიდან ჩვენ თავისუფალი ერი ვართ, სხვები აწი ჩვენ საქმეებში ვეღარ ჩამოვრევა და ყველაფერი ეს იცნო ინგლისმა ჩვენ შორის დადებულ ხელშეკრულებითო.

1922 წლის იანვარში ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულება ხმის უმრავლესობით დამტკიცებულ იქნა ირლანდიის პარლამენტის მიერ. უმცირესობა დეველერას მეთაურობით ხელშეკრულებას ოპოზიციამი ჩაუდგა: ხელშეკრულების მომხრე და მოწინააღმდეგეთა შორის შემდეგ გაჩაღდა სასტიკი ხელჩართული ბრძოლა და უაზრო და ირლანდიის თავისუფლებისათვის კინალად საბედისწერო სამოქალაქო ომი თითქმის ერთ წელს გრძელდებოდა. დაბოლოს დეველერას ოპოზიციამ ძლეულ იქნა და ახალმა სახელმწიფომ იწყა ნორმალურ პირობებში ცხოვრება.

1922 წლის დასაწყისში, როცა ინგლისსა და ირლანდიას შორის დადებულ ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდა, ინგლისი გავიდა ირლანდიიდან და ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე ინგლისის არც ერთი ჯარის კაცი აღარ დარჩა. 1169 წ. დაწყებული, 753 წლის განმავლობაში, ეს პირველჯერ იყო, რომ ინგლისმა თავის პრეტენზიებზე ირლანდიაში ხელი აიღო და გაანება მას თავი.

ირლანდიის ინგლისელების მიტოვების შემდეგ იქ ძველი წესწყობილებიდან აღარაფერი დარჩა: არც ინგლისური დაწესებულებანი, არც ინგლისური ხელისუფლება, არც ინგლისის ჯარი. ყველაფერი ხელახლა იყო მოსაწყობილებელი და შესაქმენი. ძველის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფო უნდა აეშენე-



ბიათ. ეს არ იყო ადვილი საქმე. საუკუნოების განმავლობაში ინგლისი თვითონ ბატონობდა ირლანდიაში და მართავდა მას თავის სურვილისამებრ. ინგლისელები არავითარ საშუალებას არ აძლევდნენ ირლანდიელებს, რომ ამათ მონაწილეობა მიეღოთ თავიანთ ქვეყნის მართვა-გამგეობაში, აღჭურვილიყვნენ შესაფერი გამოცდილებით და მათში აღზდიყო და განვითარებულიყო სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვის საჭირო. პასუხისმგებლობის გრძობა.

ასეთ პირობებში დაიწყო მუშაობა ირლანდიის ახალმა მთავრობამ, რომელიც შესდგებოდა 8 ახალგაზდა გამოუცდელ, მაგრამ გაბედულ, პატიოსან და ენერგიით სავსე მინისტრისაგან. სულ მალე შემუშავებულ და მიღებულ იქნა მეტათ დემოკრატიული ხასიათის კონსტიტუცია. ირანდიული ენა გამოცხადებულ იქნა სახელმწიფოებრივ და ოფიციალურ ენათ. პარლამენტში დეპუტატებს ირჩევენ პროპორციონალური წარმომადგენლობის მიხედვით, განურჩევლათ სქესისა, ერთ დეპუტატს 30,000 ამრჩეველზე. ყოველივე მოქალაქე აქვს უფლება იყოს არჩეული და ამრჩეველი. არსებობს ხალხის ინიციატივა და რეფერენდუმი, დაახლოვებით ისე, როგორც ეს შვეიცარიაშია. პარლამენტი ირჩევს მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც შემდეგ ადგენს სამინისტროს და სხ. ახალმა მთავრობამ მოახდინა ადმინისტრაციის და სასამართლოების დეცენტრალიზაცია და დემოკრატიზაცია, გახსნა ყველგან სკოლები და გახადა სავალდებულოთ ირლანდიულ ენის სწავლება. სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დუბლინში იმყოვება, დაუყენებლივ გატარებულ იქნა ნაციონალიზაცია. გატარდა ავრეთვე აგრარული რეფორმა. მთავრობამ მიიღო ზომები მრეწველობის და უმუშევრობის მდგომარეობის გასაუმჯობესობლათ, შეაკეთა ძველი, თუ გაიყანა ახალი რკინის ზეხები, აავა სახლები და ელექტრონის სადგურები. იყო ორი მეტათ ძნელი საკითხი—საკითხი ჯარისა და ფინანსებისა. ორივე შედარებით კარგათ იქნა მოგვარებული. თავისუფალ ირლანდიის პირველი მთავრობა 4-5 წლის განმავლობაში დაუღალავათ მუშაობდა. მთავრობის წევრები არ ყოფილან არც დიდი კაცები, არც ირლანდიის გარეთ ცნობილი პირები. მაგრამ მათი ბედნიერება ის იყო, რომ მათ გარეშე მტრის აღარ ეშინოდათ და უფრო ნორმალურ პირობებში შეეძლოთ ემუშავნათ. დიდი ომის გამოწვეული მწვავე შედეგებიც თანდათან ნელდებოდა. ახალგაზდები, გამოუცთელნი, თუ გსურთ უცოდინარნიც, ისინი სუედდენ თავიანთ ქვეყნის ბედს და ამ მუშაობაში სწავლობდნენ. იწვთნებოდდნენ, იღებდნენ გამოცდილებას და ხდებოდდნენ ნამდვილი სახელმწიფოებრივი მოღვაწენი.

ირლანდიას მოუხდა სხვების დაუხმარებლათ და თავისი საკუთარი ძალებით დამდგარიყო ფეხზე. დღეს ის უკვე თავისუფალ ერთა ოჯახის წევრია.

ინგლისთან დადებულ ხელშეკრულების ძალით ირლანდიის და კანადის კონსტიტუციონური სტატუტი ერთი და იგივე უნდა იყოს. კანადა კი დომინიონთა შორის ყველაზე უფრო ლიბერალური, პრო-

გრესიული და თავისუფლების მოყვარულია. ირლანდია, როგორც კანადა, არა თუ ყველა თავის შინაურ საქმეებს თვითონ განაგებს, არამედ საგარეო საქმეებსაც—დიპლომატიურსაც თვითონ უძღვება და ამ მხრივაც ინგლისი მას მისი სურვილის წინააღმდეგ თავზე ვერაფერს მოახვევს. ირლანდიას ყავს თავისი წარმომადგენელი ვაშინგტონში და ერთა ლიგაში. ყოველივე დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხზე ის თვითონ იძლევა პასუხს და ამისთვის არავისი ნებართვა არ სჭირია. ამ უკანასკნელათ ამერიკის საგარეო მინისტრის—ყელოვის ნოტას ომის აღკვეთის შესახებ, როგორც კანადამ, ისე ირლანდიამ თავთავიანთი დადებითი პასუხი გასცეს, ლონდონთან წინასწარ მოულაპარაკლებლათ და შეუთანხმებლათ.

ისტორია არ იცნობს მეორე ერს, რომელსაც განეცადოს იმდენი დეენა და წვალება, რამდენიც შვიდ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ირლანდიამ ინგლისისაგან განიცადა. მეორემეტე საუკუნის მეორე ნახევრიდგან დაწყებული ინგლისელები შესეული იყვნენ ამ უძველეს ქვეყანაში, რომელიც მესხეთე საუკუნიდგან ექცხრემდე იყო აკვანი ევროპიულ კულტურისა და ევროპაში ბარბაროსების შემოსევის ხანებში წარმოადგენდა დასავლეთ ცივილიზაციის ნამდვილ თავშესაფარს, და ყოველივე საშუალებას მიმართავდენ ირლანდიელების ფიზიკურ და მორალურ განადგურებისათვის. არ არის ყველაფრის ამის შემდეგ გასაკვირი, თუ ირლანდიელებში ასე ღრმათ ბუდობდა ინგლისელების ზიზი და სიძულვილი. ან კი როგორ უნდა ყვარებოდა დამონავებულს და ჩაგრულს ბატონი და მჩაგვრელი? ამიტომ იყო, რომ, როცა კი ინგლისის ვინმესთან საქმის რამე გართულება ექნებოდა, ირლანდიელების თანაგრძობა ყოველთვის ინგლისის მოწინააღმდეგის მხარეზე აღმოჩნდებოდა. ინგლისის გასაპირი ჩვენთვის შემთხვევააო, ამბობდენ ირლანდიელები. დღეს კი, როცა ირლანდია თავისუფალია და ინგლისი აღარ ერევა მის საქმეებში, შუღლი და მტრობა ამ ორ ერთა შორის თანდათან ნელდება და ქრება. მართალი იყო ირლანდიელ პროტესტანტების ლიდერი—გრატანი, როცა ამბობდა: დამონებული და ჩაგრული ჩვენ მუდამ ვიქნებით ინგლისელების შეურიგებელი და სასტიკი მტრებიო, თანასწორი და თავისუფალი კი მათი საუკეთესო მეგობრებიო.

დღეს ზოგიერთს უკვირს, თუ როგორ შესძლო პატარა ირლანდიამ საკუთარი ძალებით და სხვების დაუხმარებლათ თავისუფლების მოპოება და მთელ მსოფლიოში უდიდეს და უძლიერეს ინგლისის ბატონობისაგან თავის დასწევა. მაგრამ გასაკვირი აქ არაფერია, თუ კი მოვიგონებთ იმ სიმტკიცეს, იმ ურყვე გადაწყვეტილებას და ნებისყოფას თავისუფლებისადმი, რომელსაც საუკუნოების განმავლობაში იჩენდა ირლანდიელი ერი. მთელი ერი გაერთიანებული იყო მტკიცე სურვილით—ყოფილიყო თავისუფალი და დამოუკიდებელი, და ის გახდა კიდევაც ასეთი. ამ მხრივ ჩვენ ქართველებს ბევრ რამეში შეგვიძლია მივბაძოთ ირლანდიელებს.

პ. კვარჯალაძე.



უცხოეთის მიმდინარეობა.

ორი ინტერნაციონალი.

ერთსა და იმავე თვეს, აგვისტოს, ორმა ინტერნაციონალმა მოაწყო თავისი კონგრესები, მესამემ — მოსკოვში, მეორემ — ბრიუსელში. საერთო მათ შორის ისაა, რომ ორივე გამოდის პროლეტარიატის სახელით და უკანასკნელის მიზანს — სოციალიზმს — თვითეული თავისად სახავს. ამის გარდა, დიდი ომის წინ ისინი არ იყვნენ გაყოფილი და შედიოდნენ ერთ ინტერნაციონალში და ბაზაც — მარქსიზმი და კლასობრივი ბრძოლა — თითქმის ერთი და იგივე ჰქონდათ.

რა დიდი განსხვავებაა დღეს! დავიწყეთ კომინტერნიდან. მისი კონგრესი მოეწყო კრემლში პოლიტიკურს ზედამხედველობის და საბჭოთა მფარველობის ქვეშ. ერთად ერთი სახელმწიფო, სადაც ძალა-უფლება «პროლეტარიატის» ხელშია და სადაც «სოციალიზმს» პრაქტიკულად ანხორციელებენ! ყოველ შემთხვევაში, ერთი მაინც უტყუარი იყო: ერთსულოვნება ან უფრო სწორად — სრული მობრძოლება კრემლის მიმართ. არ წარმოთქმულა ერთი სიტყვაც, რომელიც დაშორებოდა პოლიტიკურს ბრძანებას, გაეხდინა უკანასკნელის დაწინააღმდეგება, უბრალო იქვის შეტანა მის უცოდველობაში. აქედან რეზოლიუციებიც ერთხმით იქნა მიღებული, ისე როგორც კომპარტიის და საბჭოთა ყოველ ყრილობაზედ.

ან სხვაგვარ როგორ შეიძლებოდა, როცა კომპარტიები ყველა ქვეყნებში საბჭოთა ხარჯზე ინახება უმთავრესათ! ვისაც ქიხის ყელი უჭირავს, ისაა ყოველთვის ბატონი ჩვენს დროში. მოსკოვი სარგებლობს ამ არქიტურუჟუაზიულ ხერხს და ჰქმნის ყველგან თავის ერთგულ პარტიებს, რომელთაც თვითონ უყენებს მეთაურთ, ცეკებს. პოლიტიკურებს; დელეგატების სიებიც ხომ წინდაწინ გზავნებათ მათ, ასე რომ ყოველი ურჩობა მათი მხრით გამოიციხულია. იყო, მართალია, ზოგიერთი გამოწვევის წინა წლებში, თითო-ორჯერ ევროპიულ წესების შეტანას მოჰმობდა სჯაბასში, მგრამ ამის წამოიღო ჰქონდა მოსკოვი: ურჩის ჩეკაში უკრავდნენ თავს და არა ერთი მათგანი გამოასალმეს წუთი-სოფელს. ამასაც ხომ არ კმარობენ! მოსკოვი გზავნის თავის აგენტებს ყველა ქვეყნებში და ესენი ახდენენ უშუალო კონტროლს: რიცხავენ ერთს, აყენებენ მეორეს, უწერენ წესდებებს, საპარლამენტო სიტყვებს, პროკლამაციებს, საგანგებო წერილებს... ერთი სიტყვით, ნამდვილი დიქტატორები არიან.

და ასეთ პირობებში როგორ გნებავთ, რომ კომინტერნს სხვა პოლიტიკა ან აზრი ჰქონდეს, გარდა იმისა, რასაც მას უკარანახებს მოსკოვი? სახელით ინტერნაციონალური, საქმით მხოლოდ და მარტომ მოსკოვიტურია მისი პოლიტიკაც და აზრიც. ერთად ერთი ზრუნვა, რითაც გამსუვალული იყო კომინტერნის კონგრესი, ეს იყო «პროლეტარულ დიქტატურის» ხსნა გარდაუვალ დანგრევისაგან; სხვა კითხვა არ არსებობდა მისთვის, ან თუ არსებობდა, მხოლოდ სასხვათაშორისოთ, ამ მიზნის ამოცანის გადასაქრელათ.

მოსკოვმა რომ წააგო საქმე, როგორც შინ ისე გარეთ, ეს უკვე საყოველთაოთ ცნობილია. ამიტომ კომინტერნის მთავარ მომხსენებლის ბუხარინის სიტყვაში ორ მომენტზე გადავიდა მთელი სიმძიმის ცენტრი: ომზედ და სოციალდემოკრატიაზედ. ომის პერსპექტივები, მისი აუცილებლობა, მოახლოება — აი რა უნდა დაემტკიცებია ბუხარინს, და კიდევ «დაამტკიცა»; აქედან ერთად ერთი დასკვნა — საერთაშორისო რევოლუცია თავის თავთ გამოდინარეობდა, რასაკვირველია. სხვა დებულებები: კაპიტალიზმის გაკოტრება ევროპა-ამერიკაში, კლასთა ბრძოლის გამწვავება, კოლონიალურ და ნახევრათ კოლონიალურ ერების მისწრაფება თავისუფლები-სადმი და ბევრი სხვა სიტყვის უბრალო მასალა იყო, პირველ დებულების დასამტკიცებლათ. მაგრამ სწორეთ ომის შესაძლებლობას ებრძვის საერთაშორისო სოციალდემოკრატია, აქედან აი ნამდვილი მტერი კომინტერნის, ან უკეთ კრემლის ყაჩაღები! სოციალდემოკრატის ლიდერები ყველგან მოსყიდულია ბურჟუაზიის მიერ, მოლაღატეა პროლეტარიატის — აი ბრალდება, კომინტერნის მონაწილეთა მიერ წამოყენებული, და, როგორც დასკვნა, ბრძოლა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მათ წინააღმდეგ — აი რას უკარანახებს მოსკოვი მსოფლიო მუშათა კლასს.

ასეთი დიდი ადგილი და დრო არ შეუწირავს მეორე ინტერნაციონალის კონგრესს ბრიუსელში კომინტერნისათვის, და ეს არცაა გასაკვირი. სოციალისტური ინტერნაციონალი წარმოადგენს განათლებულ ქვეყნების მუშათა კლასის თავისუფალ პოლიტიკურ პარტიების კრებულს, რომლის პასუხისმგებლობა და მორალური წონა დიდია და მუდმივ ზრდაშია. ამ პარტიებს არ ინახავს რომელიმე სახელმწიფოს ხაზინას, არსებობენ მუშათა ნებაყოფილებითი თვითდაბეგვრით, მეტოქეობას უწევენ ბურჟუაზიულ პარტიებს თანაბარ მოქალაქობრივ და პოლიტიკურ უფლებათა პირობებში და იბრძვიან სხელისუფლების ლეგალური გზით დასაპყრობათ.

თუ კომინტერნის კონგრესი ომს ისახავდა თავის მიზნათ, სოციალისტური კონგრესი მშვიდობიანობის დაცვას ანდომებდა თავის დროს. აქედან განიარაღება, არბიტრაჟი, კელოვის ხელშეკრულება, ერთა ლიგის გაძლიერება — აი მისი საზრუნავი საგანი და როგორც ცენტრი სჯაბასისა გერმანია საუფრანგეთის დაახლოვება იყო, რა თქმა უნდა, და აქ კი ფრანგ სოციალისტებმა გამოიჩინეს დიდი გამბედაობა როცა მათ მოითხოვეს რენის ევაკუაცია, დაუყენებლივ და უსასყიდლოთ: სანამ ფრანგთა ჯარები სდგანან გერმანელთა მიწა-წყალზედ, ამ ორი ერის სრული შერიგება შეუძლებელია — ამბობდნენ ისინი. და თუ ეს ორი ერთი არ მორიგდა, ევროპის მშვიდობიანობა ხიფათშია — ლაღადება მთელი ინტერნაციონალი. გერმანელიც ან ჩამორჩენ ფრანგებს და განაცხადეს, რომ სრულიად თანახმანი არიან ევაკუაციის შემდეგ დაწესდეს



საერთაშორისო კონტროლი მოსახლურე ადგილებში ერთა ლიგის ხელმძღვანელობით. ვინაიდან გერმანიის მთავრობას იგივე სოციალ-დემოკრატები უდგანან სათავეში, მათ სიტყვას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

ფრიად საყურადღებო იყო ბრიუსელის კონგრესის დებატები მსოფლიო ეკონომიის ტენდენციებზე. წარმოთქმულ იქნა დასაბუთებელი სიტყვები ამერიკის, გერმანიის, ინგლისის, სამი უდიდეს სამრეწველო ქვეყნის, დელეგატების მიერ. საერთაშორისო ტრესტების, კარტელების მონოპოლიური მრეწველობა და ვაჭრობა, აგრეთვე საფინანსო დაწესებულებათა ბატონობა თვითუფლები ქვეყნის პოლიტიკაზე დიდის სიძლიერით განათებულ იქნა. მრეწველობის ვერ. წოდ. რაციონალიზაციამ, რომელიც პირვილ ხანებში, შემსუბუქების მაგიერ კიდევ უფრო ამძიმებს მუშის მდგომარეობას, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო.

კოლონიალური კითხვა პირველათ დაისვა ინტერნაციონალის კონგრესზე და არ შეიძლება ითქვას, რომ ის საბოლოოთ გარკვეული იქნა. ყოველ შემთხვევაში, კონგრესი მოითხოვს ჩინეთისთვის სრულს თავისუფლებას გარეშე ჩარევისაგან, ინდოეთისთვის თვითგამორკვევის უფლებას, ეგვიპტის სრულ დამოუკიდებლობას, სამანდატო ქვეყნების განთავისუფლებას და სხ.

კონგრესმა ყურადღება მიაქცია ომის საშიშროებას ბალკანეთში, აღმოსავლეთ ევროპაში (ლიტვა-პოლონეთი); ფაშისტური და ბოლშევიკური დიქტატურაც არ დაუტოვებია განუხილავთ.

საინტერესოა, რამდენათ დაუზოგველია მოსკოვი სოც. ინტერ—ის მიმართ, იმდენათ ღმობიერია უკანასკნელი პირველს მიმართ! ეს იმის მაჩვენებელია, რომ სოციალისტები უზრუნველყოფილათ გრძნობენ თავიანთ ქვეყანებს ბოლშევიკურ სენისაგან; კომუნისტური პარტიები კი, მიუხედავათ მოსკოვის მილიონებისა, ძლიერდა ბოგინობენ. მით უფრო შემცდარია და მავნებელი სოციალისტების მიერ ილიუზიების ნერგვა მუშათა კლასში, ვითომც ბოლშევიკები მხოლოდ გზადანუფლებს წარმოდგენენ საერთაშორისო მოძრაობაში. მაგრამ ამის უმუთავრესი ბრალი, პირველ ყოვლისა, რუსის მენშევიკებს ედებათ. ვინ არ ილლება იმის ქადაგით, ვითომ ბოლშევიკები რევოლუციას განაგრძობენ და მათი და სოციალისტების მიხნები ერთი და იგივეა!

მენშევიზმს მხარს უჭერენ ავსტრიელნი, რომელთა ლიდერი ოტო ბაუერი შინ სასტიკათ ებრძვის ბოლშევიზმს, ხოლო რუსეთში მას ექიმადგება. ინგლისის დელეგაცია წინამდებელი იყო ბოლშევიკების მკაცრი გაკიცხვის—ეს რუსეთის საქმეებში ჩარევა არის! ბოლოს მაინც გაკიცხვით დამთავრდა, თუმცა შერბილებულათ: დაჰმგმს ბოლშევიკების ომისადმი ტრფიალი და მათი დამღრვევი მუშაობა სოციალისტურ მოძრაობაში, აგრეთვე ეროვნებათა დევნა.

საბჭოთა კავშირის დევნილ ერებიდან ინტერნაციონალის მანიფესტი მარტო საქართველოს ასახელებს, რომლის «ჩაგვრა თვით საბჭოთა მიერ გამო-

ქვეყნებული დოკუმენტებით დადასტურებულია». სახეში აქეთ ი. წერეთლის მიერ ციურინის ეკზეუტივში წაკითხული შასალა. საქართველოს სოციალ-დემოკრატის საზღვარგარეთელმა ბიურდმ თავის დროზე გადასცა ინტერნაციონლის სამდივნოს უკანასკნელ ყრილობის ოქმები-დადგენილებანი და სხვა მასალები. ბიურდმ გაგზავნა ბრიუსელის კონგრესზე თავისი დელეგაცია, რომლის რიგში საქ. სოც. ფედერ. პარტიის ერთი წარმომადგენელი ერია.

ი ს ე ე ბ ა ლ კ ა ნ ე თ ი.

ეს ერთი ხანია, ბალკანეთში ვერ არის ყველაფერი თავის რიგზე. თუ ამას წინათ ინგლისის და საფრანგეთის ელჩები ბელგრადში აკეთებდენ დამოშოშმინებელ ნაბიჯებს, ესნა ისინი იმავეს იმეორებენ სლოფიაში. ტირანაშიც ახალ გადატრიალებას ელიან იმ მხრივ, რომ პატარა დიქტატორი ზოგუხ ბეი ალბანეთის მეფედ ფიქრობს თავის თავის გამოცხადებას. თუ ამ სამ ქვეყანას დაუმატებთ საბერძნეთის ნერვიულობას, სადაც მონარქიული, რესპუბლიკანური და უბრალო ფაშისტური ტენდენციები ერთმანეთს ებრძვის, და რუმინიას, სადაც გლეხური ოპოზიცია თავის მეორე პარლამენტს აარსებს ნამდვილ ლეგალურ პარლამენტის პირისპირ,—თქვენ წარმოგიდგებათ მთელი ბალკანეთი, მოკლებული სტაბილიზაციას და აქედან გამომწვევი ერთგვარი შიშის ევროპის მშვიდობიანობისთვის, როგორც ძველათ.

თუ ცალცალკე მიუდგებით თვითუფლებ ამ ქვეყანას, თქვენ შეამჩნევთ მასში თავისებურ მღრნელ ჰიქსას. ბულგარიას ღრღნის მაკედონელთა ხვედრი, რომელიც ვერსალის ზავმა შუაზე გახლიჩა და გადასცა სერბიას და საბერძნეთს. მესამე უმნიშვნელო ნაწილი, რომელიც ბულგარიას შერჩა, ვერ ისვენებს, ვერ ისვენებენ სერბია-საბერძნეთზე მიკერებულნიც, და ღამობენ ერთმანეთს შეუერთდენ და შექმნან ერთი მთლიანი ნაციონალური ორგანიზმი, ე. ი. სახელმწიფო. მოძრაობის ცენტრი ბულგარიაა, რადგან მას ენათესავებიან ყველანი ვნით და ტრადიციებით, აქედან კომიტატჯები, ეს ნახევრათ რევოლიუციური, ნახევრათ ყაჩაღური რბოები, გადადიან ერთი საზღვრიდან მეორეზე და ახდენენ ტერორისტულ აქტებს სათანადო ხელისუფლების აგენტების წინამდებელი უკანასკნელათ ისინი ერთმანეთსაც კი დაერიენ, დაუხრციეს ერთ მეორეს ბელადები... დიდ სახელმწიფოთა ნაბიჯები სლოფიაში სწორეთ კომიტატჯების მძვინვარებით იყო გამოწვეული. ბულგარიის მთავრობა იღებს მათ წინამდებელ ზომებს, მაგრამ უძლურია, ბოლო მოუღოს მათ, რადგან მოძრაობა თავის თავათ სრულიად ბუნებრივია და ემყარება ერის კანონიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამ უსამართლოებასთან ერთათ დიდი სახელმწიფოები მეორე უსამართლობასაც სჩადიან ბულგარიის მიმართ, როცა არ უსრულებენ მას ვერსალში დაპირებულს—არ აძლევენ ეგვის ზღვაზედ გასავალს.

მაკედონელთა შორის არის ზომიერი მიმდინარეობაც, რომელიც მოითხოვს ავტონომიას, მაგ., სერბიაში... მაგრამ აქ კითხვა უფრო დიდ და სახელმწიფო-

ფობრივ გართულებას ჰქმნის. სერბიის მაგიერ არსებობს დღეს მოზრდილი სახელმწიფო სერბო-კროატ-სლოვენებისა, რომელსაც ზედ ერთვის ძველი ბოსნია-ჰერცეგოვინა და ჩეროგორია. ყველა ეს ელემენტები, მოდგმით სერბიელნი, მაგრამ დაშორებულინი ერთმანეთს, საუკუნეთა განმავლობაში, ისტორიული თავადასავალით, მიმდევარნი სამი სხვა და სხვა სარწმუნოების (მართლმადიდებელი, კათოლიკე, მაჰმადიანი), განსხვავებულნი ერთმანეთისგან კულტურული დონით,—ვერ გრძნობენ თავს კარგათ ერთ ცენტრალისტურ სახელმწიფოში, რომელიც შექმნა დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ პასტიჩმა და რომელიც სურთ ურყევათ შეინახონ მის მიმდევართ. აქედან წარმოიშვა ფედერატიული მოძრაობა, რომლის სათავეში ჩადგა ყველაზე დაწინაურებული, სერბიელთა შორის, კროატთა შტო, სარწმუნოებით კათოლიკენი. მკითხველმა უკვე იცის ბელგრადის პარლამენტში მომხდარი მკვლელობა, რომელსაც გადაჰყვა, სხ. შორის, კროატთა ბელადი სტეფანე რადიჩი. ამას წინ უძღოდა კროატთა დეპუტატების ბელგრადის პარლამენტიდან გასვლა და მათ მიერ არალეგალურ პარლამენტის შექმნა ზაგრებში... კრიზისი გრძელდება, ღრმავდება კიდევ, და ერთად ერთი რადიკალური ზომა—სახელმწიფოს ფედერატიულად მოწყობა, ჯერ თითქმის შორსაა განხორციელებადი. ამიტომ სიურპრიზები ჯერ კიდევ ბევრია მოსალოდნელი, შეიძლება, საერთაშორისო ხასიათისა, ომის მომასწავებელი.

მაგრამ ჯერ პატარა ზოგუხ ბეის სურს ფაქტის წინაშე დაგვაყენოს, და ეს ხმები მოდის რომიდან, რომელსაც უფრო დაეჯერბა, რადგან ალბანეთი უკვე იმყოფება იტალიის პროტექტორატის ქვეშ. ალბანეთი თავის მილიონზე ნაკლები მცხოვრებით, დაყოფილ ფეოდალურ მოქიშვე კასტებად, განსხვავებული სარწმუნოებით (მაჰმადიანები, კათოლიკენი), ვერ ახერხებს მთლიან სახელმწიფოდ არსებობას, ძლიერი მეზობლის დაუხმარებლათ. იტალიამ თითქმის მისცა მას ეს გარანტია, მხოლოდ დაუმორჩილა თავის ეკონომიას და სტრატეგიას, და სამაგიეროდ აძლევს ნებას თავის ერთგულ ზოგუხს გამეფდეს...

იტალიის ალბანეთში შექრამ საერთაშორისო გართულება გამოიწვია, თავის დროზე, მას და სერბო-კროატ-სლოვენთა სამეფოს შორის, და, ცოტა დააკლდა, რალმე შეიარაღებული შეტაკებით არ დამთავრდა. ეს იქვენებდა ჯერეც არ არის განელებული, ხოლო საბერძნეთი, ალბანეთის სამხრეთი მოსაზღვრე, სრულიად შეურიგდა იტალიის პროტექტორატს უმცროს მეზობელზე და კორფუს ინციდენტი დაივიწყა. ეს მოასწავებდა საბერძნეთის მიმყოლობას იტალიის დიდ პოლიტიკისა, როგორც ბალკანეთში, ისე აღმოსავლეთით საზოგადოთ. ეს იყო მიზეზი, რომ საბერძნეთსაც უნდა მოეწერა ხელი იტალია-ოსმალეთის თავდაუსხმელობის და მეგობრობის პირობაზედ, შინაურ გართულებას რომ ხელი არ შეეშალა. გართულება აწ უკვე ძველი თარიღისაა. მას შემდეგ, რაც საბერძნეთი დამარცხდა მცირ აზიაში, ის მოუსვენარ მდგომარეობაშია. მონარქია, რესპუბლიკა, სამხედრო დიქტა-

ტურა ერთმანეთს სცვლიან. ბოლოს თითქმის დამყარდა ნორმალური მდგომარეობა, გაავდეს პანგალოსი, განამტკიცეს რესპუბლიკა, მაგრამ ისევ დაირღვა წონათსწორება... ვენიზელოსი, ახალი საბერძნეთის დამაარსებელი, ისევ სცენაზედ გამოდის და ცდილობს იხსნას მდგომარეობა. ახალი საპარლამენტო არჩევნები თითქმის ადასტურებს მის ხაზს და, მოსალოდნელია, საბერძნეთი, გამაგრებული შიგნით, ისევ დაიწყებს საგრძნობ როლის თამაშს გარეთ, ნიქიერ დიპლომატ ვენიზელოსის მეთაურობით.

ძველ ინტერნაციონალს ერთი ფორმულა ჰქონდა მთელი ბალკანეთისათვის: სამეფოთა გაუქმება და ფედერატიული გაერთიანება ყველა იქ მცხოვრებ ხალხების. ეს ფორმულა ეხლაც განიმეორა საფრანგეთის დელეგაციამ ბრიუსელის კონგრესზედ, მაგრამ აზით ჯერ კიდევ ვერ გახდებია იგი პრაქტიკულ პოლიტიკის საგნად. დიდი-დიდი ბალკანეთის «ლოკარნო» განახორციელონ. ეს იდეა პირველად სერბო-კროატ-სლოვენთა საგარეო სამინისტრომ წამოაყენა. საბერძნეთიც თითქმის თანაგრძნობით გამოეხმაურა მას, მაგრამ რომში აღმაცერათ შეხედეს მას და საქმეც შეჩერდა. არ იციან, რა გზას დაადგება ვენიზელოსი: მიჰყვება იტალიას, თუ მოისურვებს უკანასკნელის გავლენისაგან განთავისუფლებას ბალკანეთის ნახევარ კუნძულისა. სხვა დაბრკოლებაც არ არის ცოტა, მაგ., ბულგარიის შეყვანა ერთ ბლოკში მასზე გამარჯვებულ მეზობლებთან.

გამარჯვებულთა შორის რუმინია ძალზე გაიზარდა ომის შემდეგ, მან მიადწია არა მარტო ეროვნულ გაერთიანებას, არამედ ბევრი უცხო ელემენტიც შეუერთა თავის ორგანზმს (უკრაინელები ბესარაბიაში, მადარნი ტრანსილვანიაში) და ვერ ინელისა. ამას დაერთოთ სახელმწიფოს სისუსტე, გამომდინარე ეკონომიური ჩამორჩენისა და ცუდი ადმინისტრაციისაგან; სამეფო დინასტიის კრიზისიც სხვაა. ყველა ეს მიზეზი ხელს უწყობს უცხოეთის გავლენას ბუქარესტის პოლიტიკაზედ, მის მერყეობას რომს და პარიზს შორის.

თ ა ხ ხ წ ე რ ე ნ ბ ა ლ მ ე კ ვ ი ე კ მ ბ ზ ე .

ვენის განხეთს «ნ. ფრ. პრესესს» მოსკოველი კორესპონდენტი სწერს: «ევროპაში გავრცელებული აზრი, თითქმის სტალინი ერთად ერთი ბრძანებელი იყოს რუსეთში,—დღეს უკვე სინამდვილეს არ შეეფერება. სტალინის მდგომარეობა შეიცვალა. გარეგნულად ის ახლაც დიქტატორია, ვინაიდან უკავია ყველაზე უფრო საპასუხიმგებლო თანამდებობა გენერალურ მდივნისა და მის ხელშია მთელი პარტიული აპარატი. მაგრამ ოპოზიციის დამარცხების შემდეგ პარტიის მართვლად წრეების სულეიერი განწყობილება შეიცვალა. ყველგან გაუბედაობაა, შიში პასუხისმგებლობისა, ენერგიის უქონლობა. დიქტატურა კიდევ არსებობს, ხოლო დიქტატორი აღარაა. ცთილობენ პარტიულ მუშათა მასების გუნების გაგებას. ყველამ იცის, რომ საგარეო



პოლიტიკური ამბები და განსაკუთრებით შინაური სამეურნეო გართულებანი უეჭველად გამოიწვევენ მასების სულიერ განწყობილებას გარდატეხას. და თუმცა პარტია განმტკიცებულია, მაგრამ ზედა ფენებში ეშინიათ, რომ გაჩნდება ახალი ოპოზიცია, უფრო ძლიერი და საშიში. ეს გაურკვეველობა ჰქმნის მძიმე ატმოსფერას მოსკოვში, ეს ყველგან და ყველაფერში სჩანს.

«ბერ. ტაგ.» თანამშრომელი პ. შეფერი აფრთხილებს ევროპის საზოგადოების იმ ნაწილს. რომელიც ფიქრობს, რომ კომუნისტები მოთვინიერდებიან და წესიერების გზას დაადგებიან. კომუნისტები დღესაც იგივენი არიან, რაც გუშინ იყვნენ; მათი შეხეულობა ოდნავაც არ შეცვლილა, მათ შესცვალეს მხოლოდ ტაქტიკა, ხოლო მიზანი იგივეა— ომი და მით მსოფლიო რევოლუციის გამოწვევა. «რატომ ებრძვიან დღეს კომუნისტები უფრო გამწარებით სოციალისტებს, ვიდრე ბურჟუაზიას და რეაქციას? იმიტომ რომ სოციალისტები ყველაზე მეტად თავადმოდებული არიან მშვიდობიანობის დასაცავად და იბრძვიან ომის ყოველგვარ შესაძლებლობის წინააღმდეგ. ომი კი აუცილებელია კომუნისტების რევოლუციისათვის. «ყოველი იმპერიალისტური ომი უნდა გადაიქცეს სამოქალაქო ომად!»—აი ამ ლოზუნგით მუშაობს კომინტერნი დღესაც. ისიც კი უნდა ითქვას, რომ ამ საკითხშიაც საბჭოთა მართველების გული გააბოლია ორად: ერთის მხრით ეშინიათ ომის საბჭოთა რესპუბ. კავშირისათვის, მეორეს მხრით ომი მიაჩნიათ მსოფლიო რევოლუციის დასაწყისად...

ქურ. «სოც. ვესტ.»-ს დაწვრილებით ცნობებს აწვდიან ბოლშევიკების დღევანდელ გაჭირვებასა და არეგდარევაზე: «თუ ცენტრში მწვავედ დგას პურის საკითხი (ნახევარი წელიწადია თეთრი პური აღარ იშოვება), პრეზიდენტში პირდაპირ ტირილია. ბევრგან, სხვათა შორის ადესაში, უკვე შემოიღეს პურის ბარათები. ჩრდილოეთის, ჩრდილო-დასავლეთის და ზოგ ცენტრალურ გუბერნიებში სოფლადაც არ იშოვება პური და გლეხები გამოდიან ბაზარზე პურის მყიდველებად და არა გამოიდველებად. სოფლებში ყველგან დიდი უკმაყოფილებაა ბოლშევიკების». ამნაირმა ვითარებამ ძალიან შეარყია სტალინის პოზიცია. ამას ზედ დაერთო შახტის პროცესის სკანდალი- რიკოვი და და მისი ახლობლები მეტად უკმაყოფილონი არიან პროცესით, რომელმაც საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს ევროპაში, და ყველაფერს აბრალებენ სტალინს...

ბოლშევიკების სულიერი განწყობილების დასურათებლად «ს. ვ.»-ის მოსკოველი თანამშრომელი ალაპარაკებს ერთს გაგვლენიანს კომუნისტს: «მძოვრის სუნი დამკვიდრდა ჩვენს პარტიაში. ყველა გრძნობს და ხედავს, რომ ჩვენი საქმე ჩაიფუშა, მთელი ეს ლაპარაკი ინდუსტრიალიზაციის შესახებ ცალიერი ლაპარაკი და კომუნისტების გამაგრების ამბები ევროპაში სიცრუეა. გასაქანი აღარსადაა. და ამავე დროს ვერავინ ბედავს გულახდილად სთქვას,

რასაც ფიქრობს, უჯრედის კრებაზე მაინც. ეშინიათ, ამიტომ ყველა თუთიყუშოვით იმეორებს, რასაც ზევიდან მოაწოდებენ. მკვდარია პოლიტიკური აზრი და პოლიტიკური სიმამაცე. კრებებზე დავდივართ, თითქმის ბეგარის ვიხილავთ. არ წახვალ, ჩაგნიშნავენ. მარტო ეს რად ღირს—აი ეს დაუსრულებელი რიგები პურის, რძის და ყოველი სისუფელის საყიდლად საქმე იქამდის მივიდა, რომ როცა ვინმე ჩვენთაგან მომუშავეთაგანი, რომელიც უდიდეს საფასურს იღებს, ტანთსაცმელის ყიდვას მოახერხებს, მთელი ქვეყანა ამაზე ლაპარაკობს, ეს უაღრესი მნიშვნელობის მოვლენაა. ირგვლივ სიძულვილი და აღმფლეთება იზრდება მსხამსახურეთა, მუშთა შორის; გლეხებზე ლაპარაკი ხომ სულ მეტია. ვაგვოტრდით ყველაფერში... გრძნობ, რომ ახლოვდება ბოლო, რომ რაღაც გადატრიალება უნდა მოხდეს... საქირთა თავდაპირველად სოციალისტური პარტიების ლეგალიზაცია, მათთან ერთად უნდა დავუბრუნდეთ პოლიტიკურ დემოკრატიას, უნდა მივსცეთ თავისუფლება გლეხის მეურნეობას, ყოველგვარად ხელი უნდა შეუწყუთო უცხოეთის კაპიტალის შემოსვლას. ურთმლისოთ შეუძლებელია ჩვენი მრეწველობის განვითარება. ამას უნდა მოყვეს ბურჟუაზიული პარტიების ლეგალიზაცია... მაგრამ არავინ სჩანს, რომ ეს საქმე იკისროს. რასაკვირველია სტალინს პოლიტიკურ ომშიც ებრძვიან. ესლახან სტალინი რომ დაბრუნდა ციმბირიდან, სადაც იყო პურის მარავისათვის, მისმა საქციელმა ისე გააბრაზა რიკოვი, რომ მაგიდაზე მუშტი დაარტყა, მაგრამ დაიგინა და გავიდა სხდომიდან. მაგრამ რიკოვი კალინინი, ტომსკი განა შესტლინს რაიმე დიდი ცვლილებების მოხდენას? სტალინის ჩამოგდების შემდეგ მართალია პოლიტიკას ცოტა მარჯვნივ გადახრიან, ხოლო არსებითად არაფერს შესცვლიან...»

მეორე კორესპოდენტის სიტყვით საბჭოთა მოსამსახურენი. არა მარტო უპარტიონი, არამედ კომუნისტებიც შეპყრობილი არიან მწარე შიშით: ყველა დარწმუნებულია, რომ კრიზისი გარდაუვალია, რომ ბოლშევიზმა დაკარგა ნიადაგი. და ყველას ფიქარი იქითკენაა მიმართული, თუ როგორ გადირჩიონ თავი პირადად, როგორ გამოიდეს უვნებელი კატასტროფიდან. ცთილობენ რისიმე შენახვას ამ «შავი დღისთვის», მაგრამ ფულის ღირებულების დაცემისა და საყოველთაო სიძვირისა გამო ამას ვერავინ ახერხებს.

გაზ. «პ. ნ.»-ის თანამშრომელი გადმოგვცემს ერთი ამერიკელი მოგზაურის სიტყვებს დღევანდელ რუსეთზე. მოგზაური ახლახან დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან და ასე ახასიათებს პეტერბურგს, კიევს და საერთო ვითარებას: «პეტერბურგი მკვდარი, მიგდებული ქალაქია. «ევროპიულ სასტუმროში» ლოგინი სავსეა ბალდინჯოებით, დერფანში ვირთაგვები დარბიან. ასევეა მოსკოვში «დიდ მოსკოვის სასტუმროში»: ყველაფერი გაოხრებულია. სრულ პანსიონში გვახდევინებდენ 25 მან. (დაახლოებით 450 ფრ). გვეკვებოდენ გვარიანად. მაგრამ თეთრი პური არ იყო. კიევიც სულ მომკვდარა, ყველაფერი ხარკოვშია გა-

დატანილი. ყველა გაჭივრებულად ცხოვრობს, ყველას შიგა, ეშინია: ვაი თუ შტატები შეამცირონ და უადგილოთ დავრჩეთო. ქუჩაში პიჯაკებს და საყელოებს ვეღარ ხედავთ: ბევრს უბრალო ტუფილი აცვია შიშველ ფეხზე. რაც სამოქალაქო ომის დროს დაინგრა, არაფერი არაა აღდგენილი... ხალხი კულტურულად ძალზედ დაქვეითდა, ტლანქი, მოუხეშავი გახდა. კულტურულ, განათლებულ ადამიანებსაც რაღაც «ბოსიაკური», ნახევრად ხულიჯანური იერი ამჩნევიათ... პარტიულები ხმამალა აქებენ საბჭოთა წყობილებას, მაგრამ ამკარათ ეტყობათ, რომ ცრუობენ, თვალთმაქცობენ. ახალგაზრდებში ვნახე ისეთები, რომელთაც გულწრფელად სწამთ კომუნისმი. მაგრამ ასეთები ძალიან ცოტაა. მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას მთელის არსებით ეწინააღმდეგება ბოლშევიკური მთავრობა, მაგრამ ძლიერ ეშინიათ მისი.»

ი ტ ა ლ ი უ რ ი ფ უ რ ე ლ მ ბ ი :

† ჯოვანი ჯიოლიტტი (1842-1928)

სამი ათეული წელიწადი იტალიის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მის ჩარევამდე დიდ ომში სამართლიანად უნდა იწოდოს ჯიოლიტტის ხანა. ამასთანავე მისი მართებლობის საზოგადოებაში იყო კლასიკური განაჩისებრი წომიერ კონსტიტუციური ლიბერალიზმისა და ტიპიურ პარლამენტარულ წესწყობილებისა. ამ მიმართულებით მიჰნიდავდა ჯიოლიტტი იტალიის მღელვარე პოლიტიკურ შინააღმართებს იმ გართულებულ პირობებში. როდესაც დიდისუბანწყვეტით გაერთიანებულ სამეფოს მრავალი დამრღვევი ძალა ემუქრებოდა: გარდა «კუთხის პატრიოტებისა», აქ თავმოყრილიყვნენ: ანარქო-სინდიკალისტები და სხვადასხვა—მხოლოდ იტალიურ ურთიერთობაში შესაძლებელი—ნახევრად პოლიტიკური, ნახევრად კრიმინალი ჯგუფები ერთის მხრით და თავდადებული ულტრამონტანისტები საზღვარგარეთით ზურგგამაგრებულნი, მეორის მხრით. სახელმწიფო და მისი მთლიანობა ხშირად მწვევე კრიზისს იტანდა და სავოის დინასტიის ტახტიც არა ერთგზით შერყეულა! ისტორიამ მიუჩინა ჯიოლიტტის, როგორც პირველის შენახვა და გამაგრება, აგრეთვე მეორის პრესტიჟის აღმადგენაცა და მისდამი ხალხის ნდობისა და ერთგულობის შექნა.

თუ შედარება მოსატანია, ჯიოლიტტი იგივეა იტალიისათვის, რაც კლემანსო საფრანგეთისათვის, გლადსტონი ინგლისისათვის, ბისმარკი გერმანიისათვის, პაშიჩი სერბიისათვის. შესაძლებელია მას ბევრში არ დაეთანხმეთ, უფრო მეტიც: შეიძლება სახელმწიფო მართებლობის მეთოდები და საშუალებები მანებლათაცა და დამლუხველათაც მითვლილი იქნას. გარნა ისტორიას მიუდგომლობა უყვარს და ჩვენ არ უნდა მივსცეთ დაიწყებას, რომ პარლამენტარულ სისტემასაც თავის მიღწევათა (სწორედ ისეთ მიღწევათა, რაიცა მას აქტივში უწერია) უმწვევრავლესი საფენურებიც ახსოვს. ამ სისტემის ყოვლად ნიჟიერი დამსახურებულ მოციქულთავანი 17 იმ თვეს მიცვლილი 86 წლის «პაპაჯოვანი» იყო, რო-

გოგრც, ჯიოლიტტს ხალხი უწოდებდა! ამ საოცარ პიროვნებას 46 წლის განმავლობაში მისი ოლქი უცვლელად ჰგზავნიდა პარლამენტში! იგივე ხუთჯერ განაგებდა სამინისტრო კაბინეტს, ზოგჯერ ხელმძღვანელობდა სხვადასხვა უწყებებს, უფრო ხშირად კი განაგებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს. მისი გავლენა უსაზღვრო იყო, ასე რომ ჯიოლიტტის «დიქტატორის» სახელწოდებაც დაჰყვა, გარნა ვფიქრობ, ეს ეპიტეტი მას არ დაუშსახურებია, რადგანაც მთელი მისი მსოფლმხედველობა და სახელმწიფოებრივი შეგნება ერთიანად ეწინააღმდეგება ამ მცნებას, როგორც ეს ისტორიულად ჩამოყალიბდა. თქმა არ უნდა, ჯიოლიტტის მაგარი და ბრძანებელი ხელი ჰქონდა, მაგრამ ეს ხელი უკანონოდ არავის დარტყმია!

1903-1913 წლები ჯიოლიტტის მოღვაწეობის წინტია, ხოლო აქედანვე იწყება თანდათანობითი დახრის ხანაც და ის მოხდა ორი შემთხვევის გამო, ორჯერვე საგარეო პოლიტიკაში: პირველი შემთხვევა ეკუთვნის ტრიპოლის ამბებს, როდესაც ჯიოლიტტი გამოვიდა ოსმალეთთან ომის წინააღმდეგ; ასევე ეწინააღმდეგებოდა ის იტალიის დიდ ომში ჩარევას და დარწმუნებული იყო, რომ ნეიტრალი იტალია ისედაც მიიღებდა ავსტრიისაგან სამხრეთ ტიროლსა და ტრიენტს. მეფემ დაამტკიცა პარლამენტის ვარდაწყვეტილება ომში ჩარევისათვის და ჯიოლიტტიც, რა თქმა უნდა, გადადგა მთავრობის თავმჯდომარეობიდან. შვიდი წელიწადი მუნჯათ იჯდა და მხოლოდ 1920 წელს მან შესცვალა ფრანჩესკო სავერიო ნიტტი. ახალი პირობები დამყარდა იტალიაში, ცხოვრება აიწეწა და ისედაც აწეული ტემპერამენტის იტალიელები სასეპით მოყვნენ სხ. და სხ. ჯურის ფანტასტიკოსებისა და ფანატიკოსების გავლენის ქვეშ! ქვეყნათ დაიწყო კომუნისტური აღვირახსნილობა, მცხოვრებთა აწიოკება და ქონების დარბევა და დატაცება! ამასობაში სუსტად თავი წამოიწია მუსოლინის გვარდიამაც... ხნიერმა ჯიოლიტტიმ ვეღარ აიტანა და სწორეთ წლის თავზე მიატოვა იტალიის პირველი კაცობა. ამით, შეიძლება ითქვას, დამთავრდა მისი ხანგრძლივი და შინაარსიანი ამბებით სავსე სახელმწიფო მსახურება...

რ. ინგილო.

წ ე რ ი ლ ი რ ე დ ა ქ ი ც ი ს მი მ ა რ თ .

დ. პ. რედაქტორო!
ვინაიდან ცალკ-ცალკე პასუხის გაცემის საშუალებას მოკლებული ვართ, უმორჩილესათ გონავთ, ნება მიბოძოთ თქვენი ვარიცემული გაზეთის საშუალებით ჩემი უგულითადესი მადლობა გამოუტყვადო ყველა იმათ, ვინც ჩემი ძვირფასი ძმის ვანოს გარდაცვალების გამო თანაგრძნობა და ნუგეშის სიტყვით მომმართეს.
ზაოიტენ შავიშვილი.

ქენევა, ივლისი 1928 წ.

Redaction et Administration.
M. J. GOBETCHIA
7, rue de Ponthieu, 7. Paris.

Le Gérant : A. LARGILLIÈRE.